გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№109 (865) 21 - 22 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

„თუ თქვენი გაზეთის წინაშე რამე შემეშალა, მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო!“

შალვა ნათელაშვილი 5-წლიანი „ცივი ომის“ შემდეგ „ვერსიაში“

გვ. 3

როგორ დახვეწეს ნაციონალებმა მოსახლეობის მოტყუების სქემა და რა ხდება რეალურად ქართულ ეკონომიკაში

გვ. 9

ხმის მიცემის პროცედურები

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

გვ. 5

WHO IS WHO ცესკო-ს „სპისოკში“

გვ. 6–7

საქართველოს ყოფილი პრემიერი „ვერსიას“ სკანდალური საიდუმლო „მოსკოვური დოკუმენტის“ შესახებ აწვდის ინფორმაციას



„სანამ რუსეთი ტერიტორიულ პრეტენზიებს არ დათმობს, სრულფასოვანი ურთიერთობა ვერ გვექნება“

გვ. 10

„სახელმწიფომ ხალხს სამხერხაოების ალტერნატივა უნდა შესთავაზოს და მხოლოდ ამ გზით გადაიჭრება ეს საკითხი!“

როგორ უნდა გადაიჭრას სვანეთში ხე-ტყის უკანონო ჩეხვის პრობლემა და რას ფიქრობს ხუდონჰესის მშენებლობაზე ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი **ბიძინა გიორგობიანი**



გვ. 4

ლიბერთი ბანკი მომხმარებლებს ინოვაციურ პროდუქტს სთავაზობს

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

გვ. 8

დიტო გელოვანი

ვირუსი აზრები

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

ვირული აზრები

დიტო გელოვანი

ახალ დრომ მოგვცა, იმედო, / ჩვენ ესე ტკბილი ქონება / მუშურ-გლეხურმა მთავრობამ / ყველას გაუხსნა გონება / და დაგვაშორა ძველი დრო / ძველი ტყვეობა, მონება. / გულს ჩაინერგე ეს სიტყვა, / შვილო, გაზრდილო დედისა, / უკვდავი ლენინი არის, / გამხსნელი ხალხის ბედისა. / მან გაიმარჯვა ხმელეთზე, / დალეწა ძველი ძალები, / და ამოწყვიტა მთლიანად / ნიკოლოზისა ჯარები. / ვიხსოვნოთ, არ დავივიწყოთ / მისი გმირული თვალები, / ვინც დაივიწყებს, დავტანჯოთ, / არ არის შესაბრალები.

(ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. მშობლიური ლიტერატურა — მერვე კლასის სახელმძღვანელო, 1953 წ.)

მიყვარს ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, ალალია და უსაყვედურო, მაგრამ 60 წლის წინანდელი ტექსტებისა რა მოგახსენოთ — არც ალალია და არც უსაყვედურო, საყვედური ეთქმის, მაგრამ დრო იყო ეგეთი და ვენერა ბებოები ყველა დროში, ყველა ეპოქაში იყვნენ, არიან და იქნებიან. მთავარია, რაოდენობა. ვენერა ბებოების რაოდენობა განსაზღვრავს ეპოქის არსს, მაშინ ბევრი იყო, ახლაც ბევრია, მაშინაც ეფერებოდნენ და ახლაც ეფერებიან და რომ ეფერებიან, ეგ არის ცუდი და ეგ, მოფერება, უფრო მეტს გვეუბნება, ვიდრე სტატისტიკა. ისე ყველა ეპოქა განსხვავდება ერთმანეთისგან, სამაგიეროდ, ვენერა ბებოები ჰგვანან ერთმანეთს.

გასულ კვირაში სააკაშვილმა ვენერა ბებოები დააფასა. „ქვეყნის პირველმა პირმა სახელმწიფოს მშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პროფესორი თენგიზ კიკაჩეიშვილი და დეპუტატი შოთა მალაშხია ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა“, — იუწყებოდა ჩემი მეგობარი სააგენტო.

რავა, არ იმსახურებდნენ თუ?! არა, რას იმსახურებენ და რას არა, ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ თუ კიკაჩეიშვილსა და მალაშხიას რამე ეკუთვნით, ეს, პირველ რიგში, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენია, ოღონდ არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად, ამ პრეზიდენტის ბრწყინვალებისა.

კიკაჩეიშვილი და მალაშხია დიდად არც მანამდე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, თუმცა ამ მსგავსებას ხმამაღლა მხოლოდ ერთეულები აღნიშნავდნენ, ახლა კი მთლად ტყუპებივით არიან და სულ არ გამიკვირდება, თუ ამ დღეებში საახოვ-მიშტოიანი თითო ბრწყინვალების ორდენს გაიმეტებს თემურ ქორიძისა და ნუგზარ წიკლაურისთვის, მურმან ომანიძისა და გრიგოლ ვაშაძისთვის, მანანა არჩვაძისა და სანდრა რულოვსისთვის... რომელი ერთი ჩამოვთვალო, ან რა საჭიროა ჩამოთვლა?

და თუ ჩამოთვლაზე მიდგება საქმე, ეს ჩამონათვალიც საკმარისია და დამაფიქრებელი: ნაციონალური მოძრაობის შემომწირველები არიან გიორგი ოჩიაური (10 ათასი ლარი), გიორგი გოდაბრელიძე (2 ათასი ლარი), ზაზა კედელაშვილი (10 ათასი ლარი), დავით დარჩიაშვილი (10 ათასი ლარი), სერგო რატიანი (7 ათასი ლარი), შოთა მალაშხია (10 ათასი ლარი), გიორგი ბარამიძე (15 ათასი ლარი), ლევან ბეჟაშვილი (4 ათასი ლარი), გიორგი ღვინიაშვილი (10 ათასი ლარი), ასევე ორჯერ განახორციელა შემოწირულობა ჩიორა თაქთაქიშვილმა (ჯამში 3 ათასი ლარი)“.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, დანარჩენ გმირებს ხალხი არ იცნობს, ამათ კი, იცნობს და იცნობს ისე, რომ ამათში არც ერთი „ზამთარში თოვლს არ მოგცემს“.

მით უმეტეს — მალაშხია და სასამართლო და გამოძიება იქით იყოს, იმედი მაქვს, ეს პატივცემული ინსტიტუტები, როცა იქნება, კიდევ იტყვიან თავის სიტყვას, მაგრამ არსებობს ერთი ინსტიტუტი, რომელსაც ასეთ რამეებზე ყოველთვის პირველს აქვს რეაქცია. ამ ინსტიტუტის სახელწოდებაა „დაგინების ინსტიტუტი“, რომელშიც არის „ხალხური ზეპირსიტყვიერების“ განყოფილება. როგორც ამ ინსტიტუტის ერთმა უმცროსმა მეცნიერთანამშრომელმა მაცნობა, ნაციონალებისთვის ფულის შემწირველებზე გამოთქმული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესწავლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა იმდენად, რამდენადაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ პირველი რიგის ამოცანად მიხეილ სააკაშვილის ერთ წინადადებაზე ატეხილი გინება-დაგინებების შესწავლა-დამუშავება მიიჩნია.

აი, ისიც: „მე, არასოდეს, არც ერთი ბიზნესმენისთვის ჩემი პრეზიდენტობის დროს, არანაირი ფული არ გამომირთმევია“.

აღსანიშნავია, რომ ეს განცხადება ვადაგასულმა პრეზიდენტმა (არადა, პირველად რომ აირჩიეს, ვადა უკვე გასული ჰქონდა) თურქეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე გააკეთა, სადაც ე.წ. საპრეზიდენტო ბიბლიოთეკისთვის ფულის შეგროვება სცადა.

მე მართლა მაინტერესებს, როგორი იქნება ეს ბიბლიოთეკა. ალბათ, მხოლოდ წიგნების გაცემა-განათხოვრებით არ შემოიფარგლება და კვლევებსაც დააფინანსებს. მაგალითად, ასეთებს — „ერთსქესიანთა ქორწინების ტრადიცია საქართველოში“ და „სიცრუე და ორპირობა, როგორც პროგრესის მამოძრავებელი ძალა“.



თენგიზ სხირტლაძის ნახატი

ერთ კვირაში მოსალოცად გვექნება საქმე და მეც ყველას მოგილოცავთ, ოღონდ არა ახალ პრეზიდენტს, არამედ ძველის გადაგდებას ისტორიის სანაგვეზე. აბა, ჯერ ხომ არ ვიცით, ვინ იქნება პრეზიდენტი და ისიც ხომ არ ვიცით, იქნება თუ არა მეორე ტური? ჯერ ისიც არ ვიცით, ვინ იქნება ახალი პრემიერი და, როგორც ირკვევა, უშიშროების საბჭოს მომავალი მდივნის კანდიდატურაც საიდუმლოებით არის მოცული. მდივანი იქით იყოს, რაც შეეხება პრემიერს...

„მე არ მიმიღია განხილვაში მონაწილეობა. მეც ველოდები, თუ ვინ შეიძლება იყოს. რამდენიმე ადამიანზე საუბრობენ ინტენსიურად, თუმცა ეს ინფორმაცია არ მომისმენია პირადად არც პრემიერისა და არც რაიმე განხილვის დროს“, — თქვა განათლების მინისტრმა.

„არ მიმიღია მონაწილეობა არც ერთ კონსულტაციაში სადაც პრემიერ-მინისტრობის მომავალი, თუნდაც ერთი კანდიდატი განიხილებოდა“, — ხელები გაასავსავა ფინანსთა მინისტრმა.

„ამასთან დაკავშირებით ჯერ არ ყოფილა განხილვა. ალბათ, უახლოეს მომავალში იქნება საუბარი, თუ ვინ იქნება პრემიერი. ის იქნება ღირსეული ადამიანი, რომელიც უხელმძღვანელებს მთავრობას“, — აღნიშნა ენერგეტიკის მინისტრმა.

ცხონებული ბებიაჩემი სიცოცხლის ბოლო წელს მეხსიერების დაქვეითებას უჩიოდა, ხანდახან მეც ვერ მცნობდა და რომ ვკითხავდი, აბა, მე ვინ ვარ-მეთქი, ეს უაღრესად თავმოყვარე ქალი იხტიბარს არ იტეხდა და მეუბნებოდა: „შენ ხარ ოქრო ბიჭი“.

არის კალაძეში რაღაც ბებიაჩემისებური... იხტიბარს არ იტეხს და „ის იქნება ღირსეული ადამიანი, რომელიც უხელმძღვანელებს მთავრობას“-ო — აცხადებს. და, მართლაც, ვინ იქნება? ვინ არის? მე და ალბათ თქვენც, გვგონია, რომ სანიკიძემაც, ხადურმაც და კალაძემაც იციან, მაგრამ არ ამბობენ, თუმცა ახლა ჩემი უსაყვარლესი ქართული ფილმი მახსენდება — „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“. გერასიმეს ტატა რომ მოჰყავს ცოლად, ბიჭები რომ ეკითხებიან — ტატას მშობლებმა თუ იციანო და ეს რომ პასუხობს, ჯერ თვითონ ტატამაც არ იცისო.

როგორც მოგახსენეთ, არის კალაძეში რაღაც ბებიაჩემისებური, მაგრამ არის ჩემებური — ხუდონის აშენების მოწინააღმდეგე ენჯეოშნიკებზე რომ თქვა, ყიყინებენო, ეგ არის ჩემებური, ხოლო მანამდე რომ თქვა — ეს გარემოსდამცველი ენჯეოები რომ შეკრიბო, ყველას ერთად, ერთი ხე არ ექნება დარგულიო — ეს მთლად ჩემებურად გამოუვიდა.

შეფასებებში ვეთანხმები, თუმცა მთავარია მოტივაცია და არც შედეგია მეორეხარისხოვანი. მინდა გითხრათ, რომ ხუდონჰესმა პირველი უარყოფითი შედეგი უკვე მოგვცა და თავი რომ არ შეგაწყინოთ, ნიუსს გაახლებთ და „ჩინ-ჩინ“-ის რეკლამისა არ იყოს (20 წლის წინ... გახსოვთ?), ჯერ გასინჯეთ და შემდეგ განსაჯეთ:

„საინიციატივო ჯგუფი „ხუდონჰესი უნდა აშენდეს“ ხუდონჰესის საკითხზე აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოებას იწყებს. „არსებობს საზოგადოების ნაწილი, კონკრეტულად ამ შემთხვევაში სტუდენტები, რომელთა გარკვეულ ჯგუფს შესაძლებელია არ ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია პროექტის მნიშვნელობის შესახებ. ამიტომ, საინიციატივო ჯგუფს, პირველ რიგში, დაგეგმილი აქვს, აწარმოოს აქტიური საინფორმაციო კამპანია ხუდონჰესის თემაზე. ვაპირებთ, აქტიური საგანმანათლებლო კამპანიის გაგრძელებას სტუდენტებში, რათა საზოგადოების ამ ნაწილის მეტი და კვალიფიციური ინფორმირება მოვახდინოთ. არ გამოვრიცხავთ შესაბამისი მოთხოვნით პერმანენტული საინფორმაციო აქციების გამართვას დევიზით „ხუდონი უნდა აშენდეს“, — განაცხადა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა მიხეილ კირცხალიამ.

ჯერ თვითონ სანიკიძემაც არ იცის, ჯერ თვითონ ხადურმაც არ იცის, ჯერ თვითონ კალაძემაც არ იცის, ჯერ თვითონ ტატამაც არ იცის... და, თვითონ კირცხალიამ თუ იცის რამე?

რა უბედურებაა? რა გახდა, რით ვერ ამოვძირკვეთ ეს კომკავშირი?! თავის წილ საპრეზიდენტო ბრწყინვალების ორდენს მიხეილ კირცხალიაც ელოდება, ოღონდ — სხვა პრეზიდენტისგან და მუშნი ზარანდიამ რომ თქვა (ცივად თქვა) — ჩინი თანამდებობას ახლავსო, აქაც ასეა — ორდენი ვაკანსიას ახლავს, ვაკანსიები კი, აუცილებლად გამოჩნდება და თანაც — ვედრო აბაზად.

გვიან ღამით (როცა დავით გოგიბედაშვილს მეფური ძილით სძინავს), აივანზე სიგარეტს რომ ვეწევი ხოლმე, მესმის ვიღაცის გინება, კამათი, ჩხუბი... სვამენ, თამაშობენ... სულ ლაწირაკები, უკაცრავად და — ტრაწიანები, სიგარეტის მათხოვრები, ვიგოდნიკები... მეც, ლაზათიანად ვიგინები ხოლმე მათი მიმართულებით, თავში გამიელვებს ხოლმე ბებრული აზრი — „ეს რა თაობა მოდის, ჩემი დედამიწა!!!“ მაგრამ შემდეგ მახსენდება ბავშვობაში ნასწავლი აქსიომა — „სავსე თავთავი თავს დაბლა ხრის, ცარიელი თავთავი — ყელყელაობს“.

ჰოდა, ეს ნაც-მომკავშირლები და მათი მეოცნებე კოლეგები, უბრალოდ, ჩანან. კარგი არ ჩანს და ეს კარგია. ისე, ხანდახან სხვანაირადაც ხდება — ჰოპ, და... მათ სახელებსაც ვიგებთ.

გასული კვირის მთავარი მოვლენა, ჩემი ღრმა რწმენით და, მოკლე ჭკუით, ის იყო, ბიჭებმა ნაბიჭვარი რომ სცემეს. ბიჭები — წესიერი, ქალაქელი ხალხი, ნაბიჭვარი — ციხის ყოფილი უ(მ)ფროსი.

„გუშინ გახმაურდა საზარელი ფაქტი, რომელიც ეხებოდა კრიმინალების მიერ რუსთავის ციხის ყოფილი დირექტორის საზარელ ცემას. მისი თქმით, სამმა კრიმინალმა ციხის ყოფილი დირექტორი ერთ-ერთი კრიმინალის მამის სახლში მიიყვანა, ჩაკეტა, თავისუფლება აღუკვეთა და სასტიკად სცემა, „სცემა ისე, რომ ადამიანმა ექვსჯერ გონება დაკარგა, აქვს ძალიან სერიოზული დაზიანებები“, — სლუკუნებდა მსოფლიოში ყველაზე მაგარი სიდედრის მქონე აკაკი-კაკო-კაკი-აკო მინაშვილი. ექვსჯერ დაკარგა გონებაო... დაკარგავდა გონებას, აზრზე მოვიდოდა, ამოიღებდა უბის წიგნაკს და ჩაწერდა: „ეს — ერთი“, შემდეგ — ეს — ორი“ და ა.შ. სულ ექვსჯერ.

მინაშვილმა იმ ადამიანების სახელები დაასახელა, რომლებმაც ციხის დირექტორს სცემეს — გაგა ჩხაიძე, ლევან კვარაცხელია და გიორგი გუდაძე.

ვენაცვალე თქვენს გამზრდელებს!!! ხომ გახსოვთ, რა თქვა ბიძინა ივანიშვილმა ამ ერთი წლის წინ? მან იმედი გამოთქვა, რომ დამყაჩაღებლები თავად დაუბრუნებდნენ წართმეულ ქონებას დაყაჩაღებულებს. შემდეგ, დამყაჩაღებლებმა დაინახეს, რომ ბიძინა არავის საქმეში არ ერევა და... დაუბრუნეს არა, ტოროლა! ციხის ყოფილი უფროსის ცემა სიგნალი უნდა იყოს ცალკე ნაცებისთვის — რომ შეძვრნენ იქ, საიდანაც გამოძვრნენ და ხელისუფლებისთვის — რომ რადგან გამოძვრნენ, კეთილი ინებონ და, აღადგინონ სამართლიანობა, რომელიც დაირღვა იმათ მიმართ, ვინც მეოცნებეები ხელისუფლებაში მოიყვანა, თორემ...

გასულ კვირაში ივანიშვილმა ერთობ საყურადღებო რამ თქვა: „საქართველოში არ დარჩება განცდა, რომ სამართლიანობა არ აღმდგარა“.

ვნახოთ, ვნახოთ... წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია მოვლენათა განვითარების ორი სცენარი: 1) ხელისუფლებაში არ დარჩება ის ძალა, რომელიც სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა; 2) საქართველოში არ დარჩებიან ადამიანები, რომლებმაც ხმა სამართლიანობის აღდგენას მისცეს.

რა თქმა უნდა, პირველი ვარიანტი სჯობს და უკვე ძალიან საყურადღებოა ივანიშვილის ეს სიტყვები: „აბსოლუტურად არ მაქვს სურვილი, რომ ჩემი პრეზიდენტი ციხეში მოხვდეს“.

თქვენი პრეზიდენტის...!!!

არა, რა თქმა უნდა, ეგვიპტე არ გვხიბლავს და აქ არც არის ეგვიპტის განმეორების პერსპექტივა. აი, ჩილეზე კი უარს ნამდვილად არ ვიტყოდით — წყნარად, გემრიელად, ცოტა სარკაზმით, მეტი ირონიით და კანონის სრული დაცვით. მაშ, ეს ციხეები ვისთვის აშენდა -გაგა ჩხაიძისთვის, ლევან კვარაცხელიასთვის, გიორგი გუდაძისთვის, ჯოტია ცაავასთვის, ერთაოზ ბრეგვაძისთვის, ქრისტეფორე მგალობლიშვილისთვის თუ ედმონ დანტესისთვის?

ივანიშვილის მესამე და საყურადღებო: „მე რომ პოლიტიკაში არ მოვსულიყავი, უსუფაშვილი წასვლას აპირებდა“.

მდა�... რა ვქნა, ახლა? ჩამოვთვალო ასობით ადამიანი, ვინც ბოლომდე აპირებდა ბრძოლას? ასობით ასეთს მე ვიცნობ და ისინიც ასობით ასეთს იცნობენ, რაც ჯამში ათასებია და მათგან თითოოროლა თუ მოხვდა იმ ლაშქარში, რომლის შესახებაც გასულ კვირაში უსუფაშვილმა ისაუბრა — „შეგახსენებთ, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ ბრძოლაში შეიქმნა. მეტაფორულად რომ ვთქვათ, ორი წლის წინ, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა და ბრძოლა დაიწყო, მან ჩამოიარა საქართველო და ლაშქარი აკრიფა. ლაშქარი, რომელიც კოალიცია „ქართულ ოცნებად“ ჩამოყალიბდა, მომზადებული იყო პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ბრძოლისთვის“.

გაიგე, ახლა, ბრძოლისთვის იყვნენ მომზადებულები თუ ბარგის ჩასალაგებლად და გასაქცევად? რავი... უსუფაშვილი, თურმე, წასვლას აპირებდა, მაგრამ ვის უტოვებდა იმ 200-მდე ადამიანს, ვინც ახლახან პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა? მართალია, იმ 200-დან სულ 30-40 თუ იყო პოლიტპატიმარი, მაგრამ 30 ცოტაა? მე თუ მკითხავ, ერთიც ბევრია, თუ სამშობლოს, ზნეობასა და სამართალს ყველაფერზე მაღლა აყენებ... თუ!.. „თუ“ მეგრულად გოჭია. აქეთ „თუ“, იქით „თუ“... შაირია ამად კარგი.

გოგი ქავთარაძე და ნანა ყეენიშვილი!.. ეუფ, ლაშქარზე იკაიფე!

მე მგონი, არასამთავრობო ენჯეოშნიკებზე უკვე ყველანი კაიფობენ. კალაძის აბსოლუტურად სამართლიანი შენიშვნის თაობაზე უკვე მოგახსენეთ, ახლა ჯერი დანარჩენ მინისტრებზეა.

„უნყებათაშორისი კომისიის სხდომებზე, გიგა ბოკერიას თავმჯდომარეობისას, კონსტრუქციულობის პრობლემა არ ყოფილა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თემის კომენტირებისას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ განუცხადა“.

„იუსტიციის მინისტრს, როგორც უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს, თმენის მეტი ვალდებულება აქვს, – ასე გამოეხმაურა სამი არასამთავრობო ორგანიზაცია ნაციონალური მოძრაობის მიერ კომისიის დატოვებას“.

„არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი ნინო ლომჯარია საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის დღევანდელ განცხადებას ამომრჩეველზე ზეწოლად აფასებს“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს” ხელმძღვანელი ეკა გიგაური, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მარგველაშვილისადმი მიცემულ რჩევას მიზანშეუწონლად აფასებს“.

იციან, არ იციან, ესმით, არ ესმით, ეკითხებიან, არ ეკითხებიან... მნიშვნელობა არ აქვს — მოაღებენ პირს და ლაპ... ყიყინებენ.

რა თქმა უნდა, მეორე ტურის შემთხვევაში მასში მარგველაშვილის არმონაწილეობის ამბავში ივანიშვილმა ძალიან გადააჭარბა და გადააჭარბა მარგველაშვილმაც, როცა თქვა, ეს საოცრებაა და მე საოცრებაში მონაწილეობას არ მივიღებო...

ლუის კეროლი — „ალისა საოცრებათა სამყაროში“ ბიძინა ივანიშვილი: „გიორგი საოცრებათა სამყაროს გარეთ“.

ისე, მართლაც საოცრება იყო ნაცების მოშორება უსისხლოდ და ისე ნუ იზამენ, გვარს არ დავასახელებ, ვიღაცები, რომ ამ საოცრებაში მონაწილეობა გვანანონ. ნაცები არავის ენატრება, უბრალოდ, მალე სანანებელი გაგვიხდება, რომ მოხდა ისე და არა ასე — „სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს“.

„გიორგი მარგველაშვილის განცხადება მიანიშნებს, რომ მას პრეზიდენტობაზე დაბადებიდან არ უოცნებია — ასეთი განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გააკეთა“...

თუ მხოლოდ ეს მიანიშნებს და მეტი არაფერი, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე... ერთი გარბოდა, მეორე არ ოცნებობდა... ივანიშვილი რომ არ მოსულიყო, უსუფაშვილი წასვლას აპირებდა — თითქოსდა, ეს ცუდია, მაგრამ ფონი, ფონი, ფონი... იმის ფონზე, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში არმოსვლის შემთხვევაში, დღევანდელი „ქართული ოცნების“ კარგა დიდი ნაწილი, ასე — 80-90 პროცენტი ნაციონალურ მოძრაობაში შესვლას აპირებდა, უსუფაშვილის გადაწყვეტილება — „მე წავედი და თქვენ ჯანდაბამდის გზა გქონიათ“ — საკმაოდ კეთილშობილურად გამოიყურება.

ჰოდა, ფონი-მეთქი და, ლამისაა, ნინო ლომჯარია შემიყვარდეს, ოღონდ — ნიკოლოზ მჟავანაძის ფონზე. „არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელ ნიკოლოზ მჟავანაძის მტკიცებით, დათა ახალაია საზღვარზე ირაკლი ალასანიამ გადაიყვანა. როგორც „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, რამდენიმე დღის წინ მას ფარული ვიდეოჩანაწერი მიაწოდეს, სადაც დაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი ირაკლი ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის გუნდის ურთიერთობებზე დაბეჯითებით და მტკიცებულებით საუბრობს. მჟავანაძის ინფორმაციით, დაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი საპარლამენტო არჩევნების პერიოდში სამეგრელოში იყო მივლენილი, რომელიც ფარულ ჩანაწერში ყვება ირაკლი ალასანიასა და ძმებ ახალაიებთან ურთიერთობების შესახებ“.

მოკლედ, ეს ენჯეოშნიკები ორ ნაწილად იყოფიან. ერთნი — რომელთა შესახებაც ფარული ჩანაწერები არსებობს და მეორე — რომლებსაც ამ ჩანაწერებს აწვდიან. ორივე შემთხვევაში, მთავარი მოქმედი პირი არის კუდ-ი, თუმცა როგორ შეიძლება, პირი კუდი იყოს, ეს ბოლომდე არც მე მესმის, არც თქვენ და არც იმას, აი...

„საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ახალი მეცნიერული აღმოჩენის — მეხუთე თავის ქალის გამოფენა გაიმართა. როგორც ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ განაცხადა, ეს აღმოჩენა საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართველი ერისთვის. მეცნიერ ბესარიონ ვეკუას განცხადებით, ამ აღმოჩენამ ძალიან ბევრი რამ შეცვალა. „აფრიკაში მიაჩნდათ, რომ აფრიკაში აღმოჩნდა განვითარებული ჰუმინიდი, ევრაზიაში კი ის მილიონნახევარი წლის შემდეგ გამოჩნდა. ეს აღმოჩენა ნაცარტუტად აქცევს ყველა აღმოჩენას. ფაქტია, რომ საკმაოდ ჩქარა ადამიანი გადმობარგდა ევრაზიაში და დასახლდა სამხრეთ კავკასიაში, სადაც არა მარტო კარგად ბინადრობდა, არამედ შთამომავლობაც შექმნა“, — განაცხადა ვეკუამ“.

მეხუთე თავის ქალა... ხუთიანი ისევ აქტუალურია და იმედი მაქვს, უფრო აქტუალური გახდება მას შემდეგ, რაც თბილისში ჩამოიყვანენ მას, ვინც ნიცის აეროპორტიდან ტირანაში მიემგზავრებოდა — დავით კეზერაშვილს. ტირანაშიო... აბა, სად წავიდოდა? მაგისი ადგილი ან ტირანაშია, ან — მანაგუაში, ბორდოში და ქეიფთაუნში არავინ ელის. თუმცა, თბილისში მას უკვე ელის კოტე კუბლაშვილი, რომელმაც გასულ კვირაში წაიტრაბახა, გასაჩივრებული სისხლის სამართლის საქმეების მეტი წილი მსჯავრდებულთა სასარგებლოდ მთავრდებაო. ადრე სხვანაირად ჭიკჭიკებდა: „იმას დახვრეტა, ამას ჩამოხრჩობა“. ახლა სხვა დროა, კეზერაშვილი მოდის და სააკაშვილი კი მიდის, მაგრამ თუ სამართალია, ბოლოს ერთად უნდა აღმოჩნდნენ იქ, სადაც ჯერ არს — ვირის აბანოში.

„იმის მაგივრად, რომ ეს ტერიტორია მოწესრიგებულიყო, პარკი გაეკეთებინათ ქუთაისელებისთვის, ტბა, უამრავი რაღაც იყო დაგეგმილი, გადაქცეულია საძოვრად. გუშინ, აქ რომ გადავიფრინე, თივის ზვინებით იყო გარემოცული. დღეს რომ მოვდიოდი, დილიდან წაიღეს აქედან. რა მნიშვნელობა აქვს, გაიხედეთ, ძროხებით არის სავსე აქაურობა. მსოფლიოს ყველაზე ლამაზი პარლამენტი თანდათან საძოვრად გადაიქცა“, — სააკაშვილი ბოლო გადაფრენის შთაბეჭდილებებშია.

ბოლო გადაფრენა, ბოლო შთაბეჭდილებები, ბოლო ბანაობა... ბოლო-ბოლო, ბოლო სიტყვა მაინც ჩვენ გვეკუთვნის — მათ, ვისზეც ფარული ჩანაწერები არ არსებობს, ვინც ფარულ ჩანაწერებს არ აფრიალებს, ვინც არასოდეს ყოფილა ფარული მოქალაქე და პატრიოტი და ამიტომ არსად წასვლას არ აპირებდა და არც აპირებს.

სააკაშვილი ვერტმფრენიდან ძროხებს ხედავდა და ფიქრობდა: „რატომ აქვთ ძროხებს ნაღვლიანი თვალები?“

ვირული აზრები... ეჰ, ჯეკ!

მ.მ. (მიდი, მოვდივარ) შენს სურათს ხატვა რად უნდა, / საქმით ხარ დახატულია, / ხალხის შვილი და მამა ხარ, / ნატვრის ხედ ამოსულია. / ცისარტყელა ცას არტყია, / შვიდნაირად დახატული, / სტალინ, შენ ხარ მტერზე ტყვია, / ჩვენ შენს ირგვლივ დარაზმული... / მტკიცე ხარ, მტკიცე, ბელადო, / სახანჯლე ფოლადივითა, / რასაცა დაჰკრავ, გადასჭრი, / უდრეკო, ლენინივითა... / დიდხანს იცოცხლე, ბელადო! / დიდხანს გვიხარე გულია! / ცხოვრება კარგი შეგვექნა, / სიცოცხლე — სიხარულია!..

(ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. მშობლიური ლიტერატურა — მერვე კლასის სახელმძღვანელო, 1953 წ.)

„თუ თქვენი გაზეთის წინაშე რამე შემეშალა, მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო!“

შალვა ნათელაშვილი 5-წლიანი „ცივი ომის“ შემდეგ „ვერსიაში“

რუსუდან შელია
557-100-768

თითქმის 5 წელია, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი გაზეთ „ვერსიაში“ პერსონა ნონ გრატად იყო გამოცხადებული. ამის მიზეზი გახდა ის სკანდალური მასალა, რომელიც ლევან ჯავახიშვილის ავტორობით გამოქვეყნდა და სადაც საუბარი იყო ლეიბორისტული პარტიის ზოგიერთი წევრის მჭიდრო თანამშრომლობაზე ნაციონალურ ხელისუფლებასთან, კერძოდ, სოსო თოფურიძესა და ვანო მერაბიშვილთან. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა ჟურნალისტის ყველა კითხვას უპასუხა, პუბლიკაციამ პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის რისხვა გამოიწვია და გაზეთის მთავარ რედაქტორთან, რბილად რომ ვთქვათ, „ცოტა კაცურად შეეშალა“. ამას მოჰყვა გიორგი გუგავას საგანგებო ბრიფინგი, სადაც ბევრ სხვა ბრალდებასთან ერთად, ქალბატონი მაია ფურცელაძე „კახეთის კარიბჭის“ გამომცემლად და ნაციონალების დაფინანსებულ ჟურნალისტად გამოაცხადეს... მოკლედ, მაშინ „ვერსიის“ რედკოლეგიამ საგაზეთო პასუხი გამოაქვეყნა და გადაწყვიტა, პირადად შალვა ნათელაშვილთან თანამშრომლობაზე ეთქვა უარი, რა თქმა უნდა, ეს არ ეხებოდა ლეიბორისტული პარტიის სხვა წევრებს. საინტერესო კი სულ სხვა რამ გახლავთ — ბატონ შალვა ნათელაშვილს 2012 წლის არჩევნების შემდეგ სწორედ იმ ადამიანებმა უღალატეს და ვფიქრობთ, სწორედ ნაციონალებთან, ვინც „ვერსიის“ პუბლიკაციაში იყვნენ ნაციონალების მოკავშირეებად დასახელებული... და რადგან ბატონმა შალვამ, კაცურად აღიარა შეცდომა და განაცხადა, თუ რამე შემეშალა, მზად ვარ, ბოდიში მოვიხადოო, „ვერსია“ ხუთწლიან ცივ ომს ასრულებს და შეახსენებს ყველა პოლიტიკოსს — გადაამოწმეთ პრესაში გამოქვეყნებული ფაქტები, ბატონებო, ამით შეიძლება თავად აერიდოთ საფრთხეს, რომელსაც ბინძური პოლიტიკა გიმზადებთ!

რაც შეეხება „ვერსიის“ პოზიციას — „არა არის რა დაფარული, რაიცა არა გაცხადდეს“, ხოლო პირადად მაია ფურცელაძე, კომპენსაციის სახით, შალვა ნათელაშვილისგან ითხოვს — „კახეთის კარიბჭეს“ მთავარი რედაქტორის პოსტს, როცა ბატონი შალვა საქართველოს პრეზიდენტი გახდება.

გთავაზობთ ლეიბორისტული პარტიის ლიდერის, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის შალვა ნათელაშვილის ინტერვიუს ოთხწლიანი პაუზის შემდეგ.

— მასალა, რომელიც „ლეიბორისტული პარტიის“ შესახებ რამდენიმე წლის წინ გაზეთ „ვერსიაში“ დაიბეჭდა, ჩემთვის მაშინ აბსოლუტურად შეურაცხმყოფელი იყო და ჩემს წინააღმდეგ აგორებული კამპანიის ნაწილად ჩავთვალე. ამ მასალაში საუბარი იყო იმაზე, რომ ფულზე ვიყიდებოდით და ასობით ათას ლარს ნაციონალებისგან ვიღებდით, რაც აბსურდი და სრული ცილისწამება იყო.

— თუმცა მოგვიანებით, როცა თქვენი პარტია სოსო შატბერაშვილმა და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ადამიანმა დატოვა, ყოფილ თანაგუნდელებს, რომლებზეც „ვერსია“ წერდა, ფულზე გაყიდულები თავად უწოდეთ. თანაც მასალა ცალმხრივად არ დაწერილა, მაშინ ჩვენს კითხვებს სოსო შატბერაშვილმა უპასუხა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინფორმაციის აღიარების ნაცვლად, გაზეთზე თავდასხმა ამჯობინეთ....

— მაშინ მასალებს დეტალურად არ გავცნობივარ.

— არარეალურად ჟღერს, განცხადება გაზეთის წინააღმდეგ ისე გააკეთეთ, რომ სტატიას არ გაცნობიხართ?

— სიმართლე გითხრათ, ახლა კარგად არ მახსოვს, იმ სტატიაში რაზე იყო საუბარი. სოსო შატბერაშვილმა და დანარჩენებმაც, მართლაც, ფულზე გამყიდეს და ბიძინა ივანიშვილისგან მიღებული ხუთი ევროს სანაცვლოდ მიღალატეს. ჩემს პარტიაში ვინ რას წარმოადგენს, კარგად ვიცი, არავის კარნახი მჭირდება. სოსო შატბერაშვილი 30 წელია აგენტურულ სამსახურს ეწევა.

— ვისი აგენტი იყო სოსო შატბერაშვილი ან თუ იცოდით, რომ პარტიაში 30-წლიანი სტაჟის მქონე აგენტი გყავდათ, ეს ადამიანი თქვენი პარტიის რიგებში რატომ ირიცხებოდა, თანაც სოსო შატბერაშვილმა ვანო მერაბიშვილის აგენტი თქვენ გიწოდათ.

— რა თქმა უნდა, ამის შესახებ ადრე არ ვიცოდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტიიდან დაუყოვნებლივ გავრიცხავდი. რაც შეეხება შატბერაშვილს, მას გარკვეულ პერსონებთან პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ამ თემაზე ახლა არ ვილაპარაკებ, მათგან განსხვავებით, მე ადამიანების ოჯახის წევრებს ვუფრთხილდები. ისე, რატომ იყვნენ ჩემთან ამ ხნის განმავლობაში, დღემდე ვერ გავიგე. თანაც ისე მაქებდნენ და მადიდებდნენ, მეგონა, სახლიდან რომ გამომაგდონ, ოჯახის წევრობას ესენი გამიწევენ-მეთქი. შევცდი...

— დღეს იმასაც აღიარებთ, რომ „ვერსიასთან“ მიმართებაშიც შეცდით?

— ფაქტია, რომ ამ ადამიანებმა ზურგში მახვილი ჩამარტყეს და ეს ჩემი პირადი ტრაგედიაა. არადა, ბავშვობიდან ჩემთან ერთად იყვნენ, ვარჩენდი და გზაზე დავაყენე. მაღალ პენსიასაც ჩემი წყალობით მიიღებენ. ვინც მართლაც დღემდე ჩემთან ერთგულად დარჩა, ადრე დაუფასებელი მყავდა. ყველა სიკეთე ამ მოღალატეებზე მქონდა განაწილებული, მაგრამ ვერ დამიფასეს. თუ თქვენი გაზეთის წინაშე რამე შემეშალა, მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო.

— ანუ ეს განცხადება ბოდიშის მოხდად ჩავთვალოთ?

— ერთი რამ კარგად მახსოვს, „ვერსიაში“ დაიწერა, რომ ბუშმა რამდენიმე ათასი გადამიხადა, რათა ვარდების რევოლუციისთვის ხელი არ შემეშალა. ეს სიცრუეა, დანარჩენში კი, ვფიქრობ, მართლები იყავით. ეს არის დღეს ჩემი პასუხი გაზეთის მიმართ.

— თქვენსა და ნაციონალებს შორის გარიგების შესახებ ინფორმაცია სიახლე არ არის და ამაზე საზოგადოება ჯერ კიდევ 2002 წლის ადგილობრივი არჩევნებიდან მოყოლებული საუბრობს.

— დაიწვას ის დღე, დაიწვას! საკრებულოში მიშას 29 დეპუტატი ჰყავდა, მე კი — 10. როგორ უნდა დამეთმო საკრებულოს პოსტი? ამ შავი პიარის აგორება სააკაშვილმა დაიწყო, როცა ყვიროდა — შალვა, დამითმე, დამითმეო, მაგრამ რა უნდა დამეთმო, არ ამბობდა. მაშინ პროპაგანდისტულმა მანქანამ მაჯობა, ახლა კი სხდომის ოქმს სოფელ-სოფელ დავატარებ, რათა ხალხი ჩემს სიმართლეში დავარწმუნო. დავიღალე, ათი წელია, თავს ვიმართლებ, რომ აქლემი არ ვარ. ივანიშვილმაც იგივე გააკეთა, როცა პოლიტიკაში მოვიდა. პირველ რიგში, ჩემს წინააღმდეგ დაიწყო ძირგამომთხრელი კამპანიის წარმოება.

— ფიქრობთ, ყველა ახალი ლიდერის მთავარი მიზანი პოლიტიკურად თქვენი განეიტრალებაა?

— ბუნებრივია, რადგან რეალურად, ყველაზე რეიტინგული პოლიტიკური პარტია ჩვენ გვაქვს. კარგად იციან, რომ ლეიბორისტების წინააღმდეგ თუ არ იბრძოლეს, ხელისუფლებაში ვერ მოვლენ. სწორედ ამიტომ ყველა დარტყმა ჩვენ პარტიაზე მოდის.

— თუმცა ბოლო რამდენიმე წელია, სოციოლოგიური გამოკითხვებით 1-2%-იანი რეიტინგი გაქვთ და არჩევნებშიც 5%-იანი ბარიერის გადალახვას ვერ ახერხებთ.

— ეს ყველაფერი სიცრუე და სიყალბეა. სოციოლოგიურ გამოკითხვებში მაღალ რეიტინგს იმ პოლიტიკურ ძალას უწერენ, ვინც ათი ათას დოლარს გადაიხდის. ეს ამბავი უკვე 20 წელია გრძელდება და ეს საზოგადოებამაც კარგად იცის.

ბურჯანაძეს, რომელიც პრორუსულობას იბრალებს და ამით ხალხის განწყობის გამოყენებას ცდილობს, რეალურად, მხარდამჭერი არ ჰყავს. თითქმის მთელი საქართველო მოვიარე და მის ერთ მხარდამჭერს მხოლოდ აჭარაში შევხვდი. ეს ადამიანიც ხმას იმიტომ მისცემს, რომ ბურჯანაძე ხელფასს უხდის. ასე რომ, რეიტინგები და ფინანსები ხალხის სიყვარულს ვერ განსაზღვრავს.

— მაშინ რატომ სთხოვეთ ცეზარ ჩოჩელს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება?

— დიახ, ვადასტურებ. სულ 50 ბიზნესმენს გავუგზავნე თხოვნის წერილი ჩვენი წინასაარჩევნო კამპანიისთვის ანგარიშზე თანხა ჩაერიცხათ. აბა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ცენტრალური ოფისის გარდა, შტაბი არც ერთ რაიონში არ გვაქვს. სიმართლე გითხრათ, ვიცოდი, რომ არავინ დამაფინანსებდა, მაგრამ ეს წერილი ისტორიისთვის დავტოვე. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ 15 მილიონერ ქართველსაც შევეხმიანე, მათ შორის, ჯაფარიძეს, ტარიელ ვასაძეს, დავით ჟვანიას და ა.შ. ყველა მათგანი ფულის მუთაქას კრუხივით აზის და საქართველო არ ახსოვს. საქართველოს დახმარება კი სწორედ ოპოზიციის დაფინანსებას გულისხმობს. მათ სინდისზე იყოს... ესენი გაბერილი ქართველები არიან, რომლებსაც საქართველო მხოლოდ მოსკოვის რესტორნებში ღვინის სმის დროს ახსენდებათ. 50 ადამიანიდან პასუხი, ცეზარ ჩოჩელის გარდა, არავინ მომწერა. დიდი მადლობა მას ამისთვის, მაგრამ მითხრა, დაგაფინანსებ თუ ბოდიშს მომიხდიო. მე კი ვუპასუხე — მანამდე არაფერი გეტკინოს-მეთქი.

დასასრული მე-4 გვერდზე

კახა მაისურაძე

„სახელმწიფომ ხალხს სამხერხაოების ალტერნატივა უნდა შესთავაზოს და მხოლოდ ამ გზით გადაიჭრება ეს საკითხი!“

როგორ უნდა გადაიჭრას სვანეთში ხე-ტყის უკანონო ჩეხვის პრობლემა და რას ფიქრობს ხუდონჰესის მშენებლობაზე ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი ბიძინა გიორგობიანი

ხუდონჰესის პროექტი ჯერ კიდევ განხილვის საგანია და, საზოგადოების დიდი ვნებათა ღელვის გარდა, ერთგვარი სპეკულირების თემად იქცა — ხუდონჰესს მომხრეც საკმაოდ ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეც. ბუნებრივია, პროექტის განხორციელებას, ყველაზე მეტად, სვანეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ეწინააღმდეგება — მესტიის რაიონის სოფელ ხაიშის ოთხმოცამდე მკვიდრმა ხატზე დაიფიცა, რომ საკუთარ კარმიდამოს არ მიატოვებს და ჰესის აშენებას არ დაუშვებს. მათი ადამიანური გრძნობები აბსოლუტურად გასაგებია: არ სურთ, ხაიში წყლით დაიფაროს, სალოცავები და წინაპართა საფლავები დაკარგოს, ხაიშისა და მთლიანად, სვანეთის ეკოსისტემას დარტყმა მიადგეს — ამ მხრივ უმთავრესი საზრუნავი მესტიის ტყეებია, რომელთა ნაწილსაც გაჩეხვის საფრთხე ემუქრება... თუმცა ამ პატრიოტი ადამიანების გარდა, პროექტის განხორციელებას ეწინააღმდეგებიან ის ადამიანებიც, რომელთაც კერძო ინტერესები გააჩნიათ — საკუთარი სამხერხაოები აქვთ ხაიშში, ხე-ტყის გაჩეხვითა და გადამუშავებით სოლიდურ ფულს შოულობენ და ხუდონჰესის აშენება, სავარაუდოდ, იმიტომ არ აწყობთ, რომ ამ ბიზნესს დაკარგავენ. გაზეთ „ვერსიამ“ უკვე გამოაქვეყნა ინფორმაცია და ფოტომასალა 80-მდე სახერხის შესახებ, სადაც მხოლოდ რამდენიმეს აქვს მუშაობის ლიცენზია. გარემოს დაცვის სამინისტრო „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებდა, რომ ყველა, ვინც კანონს არღვევს, დაისჯება, თუმცა არსებობს ინფორმაცია, რომ ის ხალხი, ვინც ხატზე დაფიცებით ეწინააღმდეგება ხუდონჰესის აშენებას, ამ სამხერხაოების მფლობელებიც არიან და, ცხადია, ჩნდება კითხვა — ეს ადამიანები სვანეთის ეკოსისტემისა და წინაპართა საფლავების გადარჩენისთვის იბრძვიან თუ საკუთარი ბიზნესისთვის? საკითხავია, სვანეთის ტყეებს ხუდონჰესის აშენება უფრო მეტ საფრთხეს უქადის თუ ლიცენზირებული და არალიცენზირებული სამხერხაოების მიერ ამ ტყეების გაჩანაგება, რომელსაც დასასრული არ უჩანს. ამ და სხვა საკითხებზე „ვერსიას“ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი ბიძინა გიორგობიანი ესაუბრება.

— ბატონო ბიძინა, გარემოს დაცვის სამინისტრო ხუდონჰესის აშენების სასტიკი წინააღმდეგია, ამ პროექტის გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მიზეზით. თქვენ ამ სკანდალში საკუთარი პოზიცია არ დაგიფიქსირებიათ, რატომ?

— მე ხუდონჰესთან დაკავშირებულ პრობლემებს კარგად არ ვიცნობ და, სიმართლე გითხრათ, არც იმდენად კომპეტენტური ვარ, დასკვნა შემოგთავაზოთ — უნდა განხორციელდეს თუ არა ეს პროექტი, თუმცა ერთი მინდა განვაცხადო: არ ვარ წინააღმდეგი არანაირი პროგრესისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოადგება და იმავე ქვეყანასა თუ ხალხს სხვა მხრივ არ აზარალებს. თუ მზარდი ეკონომიკა გვინდა, ამისთვის აუცილებელია, საკუთარი ენერგოსისტემა გვქონდეს. ხუდონჰესი თუ მოდერნიზებული ტექნოლოგიებით აშენდება, თუ გარემოზე მისი ზემოქმედება მინიმალური იქნება, ცხადია, არც მისი აშენების წინააღმდეგი ვარ.

— სვანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ პროექტის წინააღმდეგია სხვადასხვა მიზეზით და ამ მხრივ, განსაკუთრებით, მესტიის რაიონის სოფელ ხაიშის მკვიდრნი აქტიურობენ — მათ ხატზეც დაიფიცეს, რომ ხაიშიდან ფეხს არ მოიცვლიან და ვიდრე ცოცხლები არიან, ხუდონჰესი არ აშენდება. ერთი მიზეზი, რის გამოც ეს ხალხი ხუდონჰესს ეწინააღმდეგება ისაა, რომ სვანეთში ხე-ტყე გაიჩეხება, ეს საკითხი კი სწორედ თქვენი სააგენტოს კომპეტენციაა.

— იქ მარტო ხე-ტყის გაჩეხვაზე არ არის საუბარი, სხვა პრობლემატიკაზე უფრო კეთდება აქცენტები. თვითონ სახელმწიფოსთვის ენერგეტიკა, რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესია, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ენერგეტიკული პროექტები, თუმცა ასე, ხელაღებით ვერ ვიტყვი, რომ ხუდონჰესი არ უნდა აშენდეს. ვიმეორებ — ამ პროექტის ზუსტი მონაცემები არ მაქვს, თუმცა თუ ეკონომიკურად მომგებიანი იქნება, სახელმწიფოს მნიშვნელოვან სიკეთეს მოუტანს, გარემოზე ზემოქმედების ფაქტორი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიც დაკმაყოფილდება, მაშინ ცხადია, გამიჭირდება თქმა, რატომ არ უნდა განხორციელდეს პროექტი.

— თქვენი სამინისტროს პრესსამსახურმა, ოფიციალურად, პრესით გაავრცელა ინფორმაცია, რომ მხოლოდ ერთ სოფელში, ხაიშში 15 ლიცენზირებული სამხერხაო მუშაობს. გარდა ამისა, მაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რომ თითქმის ერთი ამდენი ულიცენზიო სამხერხაოა ისევ ხაიშში, ხოლო მესტიის რაიონის მასშტაბით — უფრო მეტი და ისინი წლებია იქ ფუნქციონირებს. ბევრი კომპეტენტური ადამიანი აცხადებს, რომ სვანეთის ეკოსისტემას ხე-ტყის ასეთი განუკითხავი ჩეხვა უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე ხუდონჰესის პროექტი. უკანონოდ ხე-ტყის მოჭრა და ამ ულიცენზიო სამხერხაოების აკრძალვა თქვენი სააგენტოს საქმე არ არის?

— მეც ვფიქრობ, რომ თხუთმეტზე მეტი სამხერხაო ხაიშში ნამეტანია, გეთანხმებით, იქ არარეგისტრირებული სამხერხაოებიც არის, მაგრამ ჩვენი სააგენტო ვერ აკრძალავს ამ ულიცენზიო სამხერხაოებს და ვერც ლიცენზირებულების საქმიანობაში ჩაერევა. სამხერხაოებზე კონტროლს ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტროს მონიტორინგის სამსახური და ლიცენზიების გაცემა-არგაცემაც მათი საქმეა... მონიტორინგს ჩვენც ვახორციელებთ, თუმცა ჩვენი კომპეტენცია საკმაოდ შეზღუდულია — შეგვიძლია, ხე-ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, მხოლოდ აქტი დავწეროთ და ჯარიმა დავაკისროთ კანონდამრღვევს. საერთოდ, ხე-ტყის უკანონო ჭრის აკრძალვაზე, ჩვენს გარდა, სხვა უწყებებიც მუშაობენ — იგივე, გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახური, პოლიცია და ფინანსური პოლიცია, თუმცა ერთი ამდენი მაკონტროლებელიც რომ დავამატოთ, სვანეთში ეს პრობლემა მაინც ვერ მოგვარდება. ხუდონჰესი რომც აშენდეს, ეს ხალხი სვანეთის სხვა ტყეებში გადაინაცვლებს და იქ გააგრძელებს საკუთარ ბიზნესს — წლებია, ისინი ამ საქმეს მისდევენ და სხვა შემოსავალი, ელემენტარულად, არ გააჩნიათ. სახელმწიფომ სხვა, ლეგალური შემოსავლის წყარო თუ არ გაუჩინა ადგილობრივ მოსახლეობას, რაც უნდა მოვინდომოთ, მხოლოდ შევაფერხებთ პროცესს, ბოლომდე კი ვერ შევაჩერებთ... თუმცა, უდავოა, ულიცენზიო სამხერხაოები არ უნდა არსებობდეს და ისინი უნდა დაიხუროს. მხოლოდ ხაიშში 15 ლიცენზირებული სამხერხაოს არსებობაც ბევრ ეჭვს ბადებს და ეს საკითხიც შესასწავლია გარემოს დაცვის მონიტორინგის სამსახურის მიერ.

— არსებობს ინფორმაცია, რომ ხუდონჰესის აშენებას განსაკუთრებული აქტიურობით ის ბიზნესჯგუფები ეწინააღმდეგებიან, რომელთაც ხაიშში ლიცენზირებული თუ არალიცენზირებული სამხერხაოები აქვთ.

— არაფერს გამოვრიცხავ... ფაქტია, ხაიშში სხვადასხვა ინტერესჯგუფებია და როცა ჩვენი მეტყევეები ან მონიტორინგის სამსახური ამ ხალხს ტყის ჭრას უშლის, მაშინ გზებს კეტავენ — რატომ გვიშლითო; თუ არ დავუშლით, მაშინვე სხვები აპროტესტებენ — კანონი ირღვევა და რატომ არ ეწინააღმდეგებით ტყის ჩეხვასო. ასეთი აბსურდული ვითარებაა და, რასაკვირველია, საკუთარი ინტერესები აქვთ ლიცენზირებული თუ ულიცენზიო სამხერხაოების მეპატრონეებს... ამდენად, ეს საკითხი შესასწავლია სრულფასოვნად და, ცხადია, უნდა გაირკვეს, ვინ რა მიზნით ეწინააღმდეგება ხუდონჰესის მშენებლობას. სიმართლე გითხრათ, მომწონს ამ საკითხის მიმართ ხელისუფლების მიდგომა — ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით, არ ჩქარობს, ხელის ერთი აღებით არ ცდილობს საკითხი გადაჭრას ისე, როგორც მისთვისაა მისაღები, საქმეში სპეციალისტები არიან ჩართულნი, დაწყებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან დიალოგი და ხელისუფლებას ეტყობა მზაობა, მაქსიმალურად გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები.

— ხე-ტყის ბიზნესს დღესაც ნაციონალები აკონტროლებენ. ვანო მერაბიშვილის ბიძას, ლევან თუმანიშვილს ადიგენის რაიონში 20-წლიანი, ექსკლუზიური ლიცენზია ჰქონდა და მისი ნების გარეშე, ხალხი მარწყვის საკრეფად ვერ დადიოდა ტყეში. სვანეთში თუ აქვს ხე-ტყის მოჭრის ლიცენზია თუმანიშვილს ან ნაციონალების ფავორიტ სხვა ბიზნესმენს?

— სხვებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ლევან თუმანიშვილს ერთი ლიცენზია მესტიაში აქვს, ოღონდ ხაიშში არა. შესასწავლია, რამდენად კანონიერად გაიცა ეს ლიცენზია და, იმედია, მონიტორინგის სამსახური სხვა ლიცენზიების კანონიერებასაც შეისწავლის, რადგან ისინი, უმეტეს შემთხვევაში მაშინ გაიცა, როცა კანონის დაცვას არავინ დაგიდევდათ.

ტყის ეროვნული სააგენტო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ებრძვის სვანეთში ხე-ტყის უკანონო ჩეხვას. ახლა ვაპირებთ, სამეგრელო-ზემო სვანეთის ტყის სააგენტოს გაყოფას და სამეგრელოსა და სვანეთის სააგენტოების ჩამოყალიბებას. ეს სტრუქტურული რეორგანიზაცია უფრო მოქნილს გახდის ჩვენს სამსახურს, უფრო ეფექტურად შევებრძოლებით ბრაკონიერებს, თუმცა ვიმეორებ — სხვა სტრუქტურების აქტიური მუშაობის გარეშე, ბევრის შეცვლა არ შეგვიძლია. სახელმწიფო აქტიურად უნდა ჩაერიოს ამ პრობლემის მოგვარებაში, ხალხს ამ სამხერხაოების ალტერნატივა შესთავაზოს და მხოლოდ ამ გზით გადაიჭრება ეს საკითხი.

„თუ თქვენი გაზეთის წინაშე რამე შემეშალა, მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო!“

მე-3 გვერდიდან

— ცეზარ ჩოჩელისთვის, რომელსაც „ჯაყოს“ უწოდებდით და მის სახლთან გატყავებული კრავით ხელში მიხვედით — ასე გაგვატყავა ბიზნესმენმაო, ფულის თხოვნა ბოდიშის მოხდის ტოლფასი არ არის?

— ეს ფინანსები ჩოჩელის საკუთრება არ არის, მან ფული ხალხისგან მოიპარა, ამიტომ, კეთილი ინებოს, გაჭირვებული ადამიანები და მათთან ერთად, ოპოზიციაც დააფინანსოს. ამით ცოდვებსაც შეიმსუბუქებს. ეს ფული ჩემთვის კი არ მინდა. ფული რომ მიყვარდეს, პარტიების გამოცვლაში ვერავინ მაჯობებდა. ჯერ შევარდნაძესთან ვიქნებოდი, შემდეგ ასლან აბაშიძესთან, მიხეილ სააკაშვილთან და ბიძინა ივანიშვილთანაც კი. ამ ბრძოლაშიც ნაკლებ სისხლს დავღვრიდი, მაგრამ არც ერთ მათგანთან გარიგებაში არ შევსულვარ.

— ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისთანავე თქვენი პარტია კოალიციისგან გამიჯნა, თუმცა მასთან თანამშრომლობის სურვილი ჯერ კიდევ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გქონდათ და მაშინ პრემიერ-მინისტრადაც კი ასახელებდით.

— არავითარ შემთხვევაში... ვიმეორებ, ფულის მონა რომ ვიყო, მოღალატე ყოფილი პარტიის წევრების სალანძღავი არ გავხდებოდი და პარტიაში მთავარ ბუღალტერთან ერთად ფულს დავითვლიდი, რასაც დღეს ბევრი აკეთებს. მიუხედავად უფულობისა, 520 სოფელი უკვე მოვიარე და საზოგადოებისგან აბსოლუტურ მხარდაჭერას ვგრძნობ. თუ ბიძინა ივანიშვილი არჩევნებს გამიყალბებს და პრეზიდენტი ვერ გავხდები, მასშტაბურ და მრისხანე აქციებს დავიწყებ. მერე შუშის სასახლიდან გადმოგვხედოს და დაგვთვალოს, რამდენი ვართ.

— თქვენს მიერ ორგანიზებული უამრავი აქცია ვიხილეთ, თუმცა ისიც გვახსოვს, რომ რუსთაველის გამზირზე ხალხის შეგროვებას ნაკლებად ახერხებდით. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიტინგების დაწყებით რა შედეგს ელოდებით?

— თუ ადრე ხალხი მიტინგზე არ გამოდიოდა და სახლში შეყუჟული იყო, ეს ჩემი ბრალი არ არის. თანაც ჩემს მიერ დაგეგმილი ყველა აქცია ყოველთვის რეალური შედეგით სრულდებოდა. დენის ტარიფის დაწევასთან დაკავშირებით ჩვენ გამოსვლებს შეგახსენებთ, 2005 წელს რუსთაველის გამზირზე გზა ბუშსაც გადავუკეტე. დიახ, შესაძლოა, ხალხი ხშირად ვერ იგებს ჩემს სიმართლეს, მაგრამ ახლა თითოეული მიხვდა, რომ ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ყოველთვის სიმართლეს ვლაპარაკობ. სხვათა შორის,

პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ, ქართული პოლიტიკური სპექტრის კორუფციისა და კრიმინალებისგან გაწმენდას ველოდები.

კოალიცია დაშლას დაიწყებს, თუმცა ეს პროცესი კობა დავითაშვილის უმრავლესობიდან წასვლით დაიწყო. ალასანიაც ვერ წარმომიდგენია ბიძინა ივანიშვილის გუნდში დიდხანს. რეალურად, ეს ადამიანები კოალიციაში ფულისა და თანამდებობის სიყვარულმა გააერთიანა, ბიძინას ლამაზი თვალების გამო კი არ მოსულან. როცა ერთ დღესაც, ბიძინა ივანიშვილს, რომელიც უძირო ქვევრი ნამდვილად არ არის, მათი დაფინანსება მობეზრდება, ეს ხროვა ერთმანეთს დაჭამს. კოალიცია კი არა, ზვიად გამსახურდიას მრგვალი მაგიდა დაიშალა. ეს მხოლოდ დროის საკითხია და შიდა თუ გარე პროცესებზე, მათ შორის არჩევნების მიმდინარეობაზეა დამოკიდებული. ივანიშვილმა, ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა გადააგდო და ახლა მარგველაშვილის დატოვება უნდა. არადა, მას საზოგადოებამ დიდი სიყვარული უწილადა, მან კი სამაგიერო ზურგის შექცევით გადაუხადა. ხალხს ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში გასაქცევად არ აურჩევია.

— საზოგადოებისთვის საპარლამენტო არჩევნებამდე იყო ცნობილი, რომ პრემიერი სამოქალაქო სექტორში გადასვლას აპირებდა, თანაც ბიძინა ივანიშვილი წასვლას კი არა, „20 წლით მოსვლას“ და მთავრობის საზოგადოებასთან ერთად გაკრიტიკებას გეგმავს.

— კი ბატონო, მაგრამ თანამდებობიდან მას შემდეგ უნდა წასულიყო, რაც ყველა დაპირებას შეასრულებდა. მათ შორის, ტარიფები უნდა გაენახევრებინა, ბინებიდან გამოსახლებული ადამიანების პრობლემები გადაეწყვიტა, მაგრამ არაფერი გააკეთა. ახლა გარბის, რადგან იცის, რომ დრო უკვე მისი მტერია, ადრე კი მისი მოკავშირე იყო. „ბაბუშკინი სკაზკია“ მისი განცხადებები, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ არსებობს ადამიანი, რომელიც ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს

— და ვინ არის ეს ადამიანი?

— რა თქმა უნდა, მე — ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას მე ავიღებ და ეს მაშინ მოხდება, როცა 27 ოქტომბერს პრეზიდენტი გავხდები!

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

2013 წლის 27 ოქტომბერს ტარდება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე - დევნილის მოწმობა), ხოლო თუ ხართ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თან იქონიეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი

ხმის მიცემის პროცედურები:

- ნაკადის მომწესრიგებელთან გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა

  გახსოვდეთ!
  თუ აღმოჩნდება, რომ გაქვთ მარკირება, ვერ შეძლებთ კენჭისყრის შენობაში შესვლას და კენჭისყრაში მონაწილეობას

- რეგისტრატორთან გაიარეთ მარკირების პროცედურა

  გახსოვდეთ!
  მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვერ შეძლებთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას

- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტურეთ ბიულეტენის მიღება

- მიიღეთ რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენი

- შედით ფარული კენჭისყრის კაბინაში, გააკეთეთ არჩევანი, შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სუბიექტის რიგითი ნომერი და გადაკეცეთ ბიულეტენი ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა

- კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, საარჩევნო ყუთთან მდგომი მაგიდიდან აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში

- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

- ხმის მიცემის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი

ცესკოს ცხელი ხაზი: 251 00 51
www.cesko.ge

WHO IS WHO ცესკო-ს „სპისოკში“

ეროზო შატაკიშვილი

საიდან მოდის სილამაზე – კითხულობდა გიორგი ლეონიძე — მარიტას შემხედვარე. საიდან მოდის პრეზიდენტობის ამბიცია – ვკითხულობ მე, ამ 23 კაცის შემყურე. თან ყველა ჩვენს მაგიერ რომ იღებს გადაწყვეტილებას? ბიძინა გვიწყვეტს – ვინ უნდა იყოს ჩვენი პრეზიდენტი და გვამუნათებს კიდეც – თუ 60% არ იქნა პირველივე ტურზე, ენთუზიაზმს ვკარგავთო. აგერ ნინო ჭანიშვილს კი გადაუწყვეტია, იყოს ქართველი ხალხის პოლიტიკოსი და მას, მგონი, კიდევ უფრო მეტი პროცენტი უნდა – 65. ეკონომიკური განვითარება და დასაქმება ჩემი პროფესიაა და ჩემს პროფესიას ვთავაზობ 65% უმუშევარ ადამიანსო, იმათაცო, ვინც დასაქმებულიაო და უფრო მაღალ, ევროპულ დონეზე უნდათ განვითარებაო. თან დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს, დარწმუნებულია და მერე როგორ? ეჭვიც არ ეპარება. მერე რა, რომ ცნობადი არ ვარო, მე მოვდივარ ნოუ ჰაუთი, ფულითა და საკვანძო კადრებითო. და ვინაა ეს ნინო ჭანიშვილი? უკვე 8 წელია გლობალური ბიზნესის განვითარების ცენტრის პრეზიდენტია, მანამ 7 წელი ინტერკულტურული თანამშრომლობის ცენტრის პრეზიდენტი ყოფილა, ნუ – სტაჟიან! მის გლობალური ბიზნესის განვითარების ცენტრს წარმომადგენლობები ჰქონია 270 ქალაქში, 87 ქვეყანაში. 38 წლისაა, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, გერმანიაში, ოლდენბურგის უნივერსიტეტში ეკონომიკურ-იურიდიული ფაკულტეტი. აქვს ბლომად სერტიფიკატები. რაც მთავარია, გამარჯვების იმედი – ბლომად. იმედი კარგია – უხდება ცხოვრებას, როგორც ომბალო ტყემალს, ოღონდ ეგაა — მეტი არ უნდა მოგივიდეს.

აგერ, გამარჯვების იმედი აქვს გიორგი ლილუაშვილს. მის ხელში რა გველის? რა და ის, რომ 30%-ით ნაკლებ დენს დავწვავთ – გვაჩვენა კიდეც აპარატი, რომლის დენის წყაროსთან მიერთების შემთხვევაში, დენის მოხმარებას 30%-ით ზოგავს. აი, კაცი, იმას კი არ გვპირდება ზოგიერთივით – დენს გაგიიაფებო და მერე რაცხა კაპიკებს კი არ აკლებს ტარიფს, ცოტას დაგახარჯვინებთო. განათლებით ვინაა? „ალე დავით გამყრელიძე“ – დამთავრებული აქვს სამრეწველო-ეკონომიკური კოლეჯი, იურიდიული ფაკულტეტი, შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტი – სამხედრო ექიმია. 20 წლის ბიჭი აფხაზეთშიც იბრძოდა, პარალელურად, მუშაობდა როგორც იურისტიცა და როგორც ექიმიც – ხან სანიტრად, ხან სასწრაფოს ექიმად, ხან ექიმის თანაშემწედ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებში. მუშაობს სკოლაშიც – პედაგოგად. ფერ-ხორცი არც მას აკლია, მაგრამ „მიხვედრილობაში“ მოიკოჭლებს – ოცნებას მსოფლმხედველობას ვერ მიუხვდა. რა ქნას, უყვარს კატის ძებნა ბნელ ოთახში, მერე რა, რომ კატა „კრიშაზეა“ და „ზაგარს“ იღებს.

ლილუაშვილი „ოცნებას“ ვერ მიუხვდა მსოფლმხედველობას, მე კიდევ ზურაბ ხარატიშვილს – ოცნებას. არ მეგონა, ვინმესგანღა თუ გამიკვირდებოდა პრეზიდენტობის სურვილი, მაგრამ მაინც რომ გამიკვირდა? დიახ, ზურაბ ხარატიშვილისგან. ამ კაცმა, მართლაც, შესანიშნავად გაართვა თავი ცესკო-ს თავმჯდომარეობას, რაც მინიმუმ, იმას ნიშნავს, რომ კარგად გაეცნო მთელ ამ ტექნოლოგიებს, რისკებს, საფრთხეებს და ბრახ, თვითონ მოინდომა ეყარა კენჭი და თან პრეზიდენტობაზე. რა დაემართა? ურემმა რომ შეშა არ მოიტანოს, თვითონ შეშა არააო და თავი შემოგვთავაზა? თუ ამ არჩევნებზე ცესკო-ს თავმჯდომარეობას ისევ კანდიდატობა ამჯობინა და ამ ფორმით დაიძვრინა თავი გალანტურად პასუხისმგებლობისგან?

არც ის მეგონა, ვინმე თავისი საარჩევნო კლიპით თუღა გამაკვირვებდა და რომ გამაკვირვა? სერგო ჯავახიძემ — ყველა რომ მიგვიოჯახა. ისე, ჩვენში დარჩეს და, ეს კაცი იმ ოჯახში „გვერეკება“, რომელსაც საქართველო ჰქვია, სხვებივით საბჭოთა მოძმე თუ ძმა ქვეყნების ძმურ ოჯახში ხომ არა? ცოტა დავიბენი, როცა აღმოვაჩინე, რომ ეს კაცი იმ პარტიას წარმოადგენს, რომლის თავმჯდომარეც ადრე ზურაბ ნოღაიდელი იყო, დიახ, ის ზურაბი, პუტინს რომ ევედრებოდა – კრემლის კედელში ჩამატანეთო.

სერგო ჯავახიძეს აქვს იურიდიული, ეკონომიკური განათლება, სხვადასხვა დროს მუშაობდა საგადასახადო ინსპექციაში, მისი ხელმძღვანელობით შექმნილა ფინანსური პოლიცია, 2005 წლიდან საბაჟო ტერმინალ „ოპიზას“ შეფია.

ამ არჩევნებზე ყველაზე ეგზოტიკური კანდიდატი რომ მიხეილ (გელა) სალუაშვილია, ყველა დამეთანხმება, ვისაც ის უნახავს მძიმე კაცთან („ტაბულას“ ეთერში), ან პროექტ „ნიჭიერში“, სადაც ბოლო ჟამნის დასასრულის დასაწყისი გვამცნო — მე მგონი, მისი გამოსვლის მერე გადაწყვიტა ია ფარულავამ კიდევ ერთხელ გათხოვება – ცალად არ შევხვდე განკითხვის ჟამსო. დამერწმუნება, ვისაც მისი ერთი გამოსვლაც კი უნახავს, სადაც გვიმტკიცებს, რომ ორნაწილიანი პროგრამა აქვს, რომ ყველაფერი გაწერილია ბიბლიაში, ცხადია, იგავურად, კოდირებულად, მაგრამ მერე რა, რომ კოდირებულად? გელა შიფრავს, მაგალითად, იმას, რომ პუტინი ჩრდილოეთის მეფეა, მიშა სამხრეთის, რომ მიშა ცრუწინასწარმეტყველია, ზვიადი – ცხებული მეფე, ედუარდი – ანტიქრისტეს არსის მატარებელი, ბიძინა — გზის მომსწორებლის არსის მატარებელი. და რატომღაც სჯერა, რომ ბიძინამ მარგველაშვილს კი არა, მას მოუსწორა გზა? დვანში, ბიძინასი არ იყოს, არც გელა ჩავიდა და მძიმე კაცთან მსუბუქად იმართლა თავი – „ამ ქვეყანაზე ყველაფერი კანონზომიერების მიხედვით მიმდინარეობს და ის პროცესები, რაც საქართველოში განვითარდა ამ ბოლო 20-25 წლის მანძილზე, ყველაფერი გაწერილია ბიბლიაში, მათ შორის ის პროცესებიც, რაც სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიმდინარეობს, ამიტომ ჩემი ჩართვა ამ ეტაპზე იქ, ჩემის აზრით, არ არის მართებული“.

გელა და ბიბლიური ბუღალტერია იქით იყოს და, გინდათ სოციალიზმში დაბრუნება? შემოხაზეთ ოცი. მართალია, სოციალიზმში ვერ დაბრუნდებით, მაგრამ ნუგზარას გულს გაუხარებთ – ავალიანს. 70 წლის კაცია. ახლა თუ არ ავირჩევთ, მაშ როდისღა? მარგველაშვილი და ბაქრაძე კიდე ჯეელები არიან და ცოტა დაგველოდონ. ვინაა ეს ნუგზარ ავალიანი? ოდითგან კომუნისტი და დღემდე კომუნისტი. მედგრად „ებრძვის“ იმპერიალისტურ ამერიკას. გამოცდილი კაცია, „გეპეი“-ს დამთავრების მერე, სადღა აღარ უმუშავია – ხან თერჯოლაში არქიტექტორად, ხან ტყიბულში აღმასკომში, ხან ქუთაისში. ხან სად იყო რაიკომის მდივანი, ხან სად. მოკლედ, ცეკას კაცი და პარტიული ფუნქციონერი იყო, 90-იან წლებში კომუნისტებს რომ მოეხაზათ, ნუგზარიც უფუნქციოდ დარჩა, მაგრამ შევარდნაძის არ იყოს, მისმა უმუშევრობამ ცოტა ხანს გასტანა – კომუნისტები კვლავ აღორძინდნენ და ისიც აღორძინდა – თანაც ფერისცვალების გარეშე – დღემდე კაშკაშა წითელია — 1994-2009 წლებში ქუთაისის რაიკომის მდივანი იყო, ახლა ცეკას მდივანია და „საქართველოს კომუნისტის“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე. ნუგზარა პაპა ამბობს, აფხაზეთი ნატო-ს ტრფიალმა დაგვაკარგვინაო. რა ქნას, დაბერდა და დაავიწყდა, როდის დავკარგეთ აფხაზეთი და რომ აფხაზეთი მისმა თანაპარტიელმა შევარდნაძემ დაგვაკარგვინა და არც ნატოა შუაში და არც ვერიკო ანჯაფარიძე – მით უმეტეს. ნუგზარა გაიძახის, ნატო-ზე უნდა ვთქვათ უარიო, კატეგორიული უარიო, იქ შესვლა ჩვენთვის დამღუპველიაო. ნუგზარას რომ ჰკითხო, ამერიკა მძარცველი და აგრესორია და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიწების წამგლეჯი რუსეთი – კეთილი მეზობელი. კომუნიზმზე ბოდიშიო და ახლა სოციალიზმს გვპირდება და თავი მოაქვს, მე ვარ სოციალიზმის დაბრუნების მეკვლეო. მოკლედ, ეს კაცი „ზადნიში“ ჩაგვაგდებს და 20 წლით უკან დაგვაბრუნებს. ყველაფერი გაწერილი აქვს თავის პროგრამაში. გაწეროს და გამოწეროს, გულს გადააყოლოს.

არჩევნებში ასევე მონაწილეობს კაცი, რომელსაც დღემდე ეამაყება საქართველოს „ესენგე“-ში შეყვანას რომ ხელმძღვანელობდა – ავთო მარგიანი. მოთხილამურე იყო, სხვადასხვა დროს მუშაობდა მუშად, ბრიგადირად, ინჟინრად, ქარხნის დირექტორად, რაისაბჭოს თავმჯდომარედ, ბოლოს, როგორც იქნა, ცეკას მდივნობამდეც მიაღწია, მერე რა, რომ 1990 წელი იყო უკვე, კომუნისტებმა რევანში მალევე განახორციელეს — სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მარგიანი იყო სახელმწიფო საბჭოს შექმნისა და მეთაურად შევარდნაძის არჩევის მოთავე. პარლამენტარიც გახდა და ვიცე-პრემიერიც. პრეზიდენტობა 2008 წელსაც უნდოდა, შეიტანა კიდეც განაცხადი ცესკო-ში, მერე 50 800 მხარდამჭერის სიაც მიიტანა, მაგრამ ბიულეტენში მაინც ვერ მოხვდა, მაშინ ვერ მოხვდა – ახლა მოხვდა და პრეზიდენტობა უნდა. ხალხს ანაბრების დაბრუნებას ჰპირდება და აბა, თუ იცით, ვის აბრალებს ანაბრების შეჭმას – ზვიად გამსახურდიასა და სააკაშვილს. იქვე ყვება, შევარდნაძემ 1992 წელს ხალხს მიმართა, ვინც ივლისში შემნახველ ბანკში ფულს შემოიტანს, თანხა გაუორმაგდებაო. „მოსახლეობამ ირწმუნა ეს, უმრავლესობამ საცხოვრებელი ბინებიც კი გაყიდა და ამ დროს სახელმწიფო შემნახველ ბანკში დამატებით 8 მილიარდი მანეთი შევიდა. ამავე პერიოდში კომერციული ბანკების მიერ მოტყუებულმა მეანაბრეებმა 17

WHO IS WHO ცესკო-ს „სპისოკში“

მილიონი მანეთი დაკარგეს“, – ჰყვება მარგიანი. ავთანდილ, შენს ძმაკაც შევარდნაძეს გადაუგდია ხალხი, მოუტყუებია და მიშა და ზვიადი რა შუაშია? ედუარდსაც ატყუებდნენო. მექოთნესავითაა – ყურს, საიდანაც უნდა, იქიდან აბამს, მერე რა, რომ მაგისი აღარც დღის ქოთანი უნდა ვინმეს, აღარც ღამის.

ხნიერი კაცებიდან პრეზიდენტობა უნდა თამაზ ბიბილურსაც, თამაზ ბიბილური ჟურნალისტია, კინოსა და ტელევიზიის რეჟისორიცაა. რაღა არა აქვს დამთავრებული – ტელე-რადიო კომიტეტთან არსებული სტუდია, ეკონომიკის ფაკულტეტი უნივერსიტეტში, მერე ხელოვნების ფაკულტეტი – კინოტელედრამატურგია, მერე ლენინგრადშიც სწავლობდა – სარეჟისოროზე, სულ ახლახან, 2012 წელს დაამთავრა დოქტორანტურა ტექნიკურ უნივერსიტეტში. როგორც ჩეხოვი იტყოდა, „ვეჩნი სტუდენტ“. ამით შემოვიფარგლები და მეტს არ გავკილავ, კოლეგიალობის ეგიდით.

აგერ, პრეზიდენტობის კანდიდატს, მამუკა ჭოხონელიძეს რომ ჰკითხეს, მაგ 23-დან რატომ უნდა მოგცენ მაინცდამაინც თქვენ ხმაო, გვიბრძანა, მეო, 90-იანი წლებიდან პოლიტიკაში ვარ ჩართულიო, თეორიული გამოცდილებაც მაქვსო, პრაქტიკულიცო – 2003-2004 წლებში ნაცმოძრაობის ერთ-ერთი რაიონის თავმჯდომარე ყოფილა, ჰოდა, უნდა ამირჩიოთო. უნდა ავირჩიოთ, აბა, რა – რადიო „თავისუფლებასთან“ თქვა, ქვეყანაში მძიმე სოციალური მდგომარეობაა, ამ საკითხის გადაწყვეტა არც ისე იოლია, ჩვენ გვაქვს ჩვენი ხედვა და გეგმაო. თუ მოსახლეობა ინებებს და მე მომცემს ხმას, ჩვენ გვაქვს ამის პროგრამა, როგორ გადავჭრათ ეს პრობლემაო. ამბობს — მაქვსო და კრინტს არ ძრავს ამ გეგმაზე. აბა, როგორ გინდათ, პროგრამა და გეგმა დაფქვას და თქვენ კი გიორგი მარგველაშვილი აირჩიოთ? რა ნეტარია ეს კაცი, ჰგონია, რომ მისი დაპირებების შესრულებით მარგველაშვილი „შნურუკებს“ დაიწყვეტს ტუფლებზე? თავიანთი დაპირებები ხომ შეასრულა და ახლა ჭოხონელიძის დაპირებებს ჩააბულბულებს. არა რა, ეს კაცი, მართლა ახალი სიტყვაა არჩევნების ისტორიაში – არც გეგმას ამხელს, არც პროგრამას. ჯერ ამირჩიეთო. ასეთი ძუნწი კანდიდატი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, აფსუს შალვა ნათელაშვილი, რა დაპირებები იცოდა? ან ბიძინამ? არც მიშა ჩამოუვარდებოდა, ეს კიდე დგას და გვევაჭრება – ჯერ ინებეთ და ამირჩიეთო. გაიგეთ? აქვს გეგმა. ჰოდა, აირჩიეთ, შემოხაზეთ 18. როგორც იმ რეკლამაშია თვრამეტი, თვრამეტი...

48 წლისაა, ტყვარჩელშია დაბადებული. დამთავრებული აქვს ზაქარიაძის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი, მერე ეკონომიკის ფაკულტეტი, ტელევიზიაში – ოპერატორის ასისტენტი იყო, 10 წელი ანსამბლში ცეკვავდა, მომდევნო 6 წელი პოლიციაში მუშაობდა, 2003-2004 წლებში რკინიგზის კულტურის სახლის ვიცე-პრეზიდენტიც ყოფილა, 2004-2007 წლებში პარლამენტის წევრიც, მერე რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოშიც იყო, ახალი ტექნოლოგიების ეროვნულ ბიუროშიც, ბოლოს კიევში ჩვენი ელჩის მრჩეველი იყო ბიზნესისა და ვაჭრობის საკითხებში. კიდევ რა? მეორე არხს ემდურება, უფასო საეთერო დროს მიზღუდავენო, არადა, თურმე ამ მეორე არხიდან ურეკავენ მის წარმომადგენელს, ის კიდე „ტრუბკას“ არ იღებს, ის კი არა, ბოლო სამი დღე საერთოდ გამოურთია. მეორე არხის პროდიუსერები დგანან და მღერიან „სადა ხარ ჩემო სულიკოს“...

13 ნომერს თუ შემოხაზავთ – პრეზიდენტად აირჩევთ გიორგი ჩიხლაძეს. ვინაა? „გუგლმა“ უსტარი მაახლა – პარლამენტის მისაღებში გიორგი ჩიხლაძემ ცეცხლმოკიდებული დოკუმენტები შეყარაო. დავიჯერო, ახალი ჰეროსტრატე იყრის კენჭს? ჩიხლაძე, თურმე, 7 წელი მჯდარა, როგორც ყველა, ეგეც უდანაშაულოდ და ჯანმრთელობა შემერყაო. როგორც ირკვევა, ამ ჩიხლაძეს პარლამენტისთვის ოპერაციის გაკეთების თხოვნით მიუმართავს, მათ საბუთები ჯანდაცვისთვის გადაუგზავნია, როგორც ჩანს, ჩიხლაძეს მოთმინების ფიალა ავსებია და თავისი დოკუმენტებისთვის ცეცხლი მოუკიდებია და მისაღებში შეუგდია. პოლიციამაც დააკავა. ცოტა ეჭვი შემეპარა, რომ ეს კაცი აპირებდა პრეზიდენტობას და სხვა გიორგი ჩიხლაძეს დავუწყე ძებნა. მორიგი გიორგი ჩიხლაძე დათა ახალაიას ადებს ხელს – დამემუქრა, შარაძესავით გაგასაღებო. მოკლედ, როგორც გაირკვა, არჩევნებში არც ეს მონაწილეობს. არჩევნებში მონაწილეობს მესამე გიორგი ჩიხლაძე – ბიზნესმენი, მონაწილეობს, თორემ ისიც იმავე წარმატებით გახდება საქართველოს პრეზიდენტი, როგორც წინა 2 გიორგი ჩიხლაძე. ამ გიორგი ჩიხლაძეს თავისი ბიზნესები ჰქონია რუსეთში, ვიეტნამში, კამბოჯასა და ამერიკაში. მათემატიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, ჯარი ხაბაროვსკში მოვლილი. ვიდრე ბიზნესებს მიჰყოფდა ხელს, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ყოფილა კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“. ეს გიორგი ჩიხლაძე ბიზნესიდან კი მოვიდა, მაგრამ ფულით კი არა, წუწუნით – პარლამენტარებს პროფესიონალიზმიც დაუწუნა, პრეზიდენტობის კანდიდატებს ზოგს აფინანსებენ, ზოგს არაო. დისკრიმინაციააო. ფული არასწორად განაწილდა, უკან დააბრუნეთ და ქველმოქმედებაში ჩადეთო. ჟურნალისტებსაც ეცა – არ მწყალობთო, ჩემს ბრიფინგებზე არავინ დაიარებითო. ბოლო ბრიფინგზე მარტო მეორე არხი და მაესტრო მოვიდა, მე რომ მარგველაშვილი ან ბაქრაძე ვყოფილიყავი – ყველა მოვიდოდაო. თანაბარ პირობებში არ ვართო, ზოგისთვის ყველა კარი ხსნილია – ტელევიზიებშიც, სხვაგანაც, ზოგმა კი ან ჯიბიდან ფული უნდა ამოიღოს, რომ ეს ყველაფერი მოიპოვოსო, ან კარზე აბრახუნოსო. წუწუნებს კაცი. აბა, რა ეგონა, ცესკო-ში პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდებოდა და ჟურნალისტები მიაწყდებოდნენ? პაპარაცები მის ცოლ-შვილს აედევნებოდნენ, ქუჩაში ავტოგრაფებს მოსთხოვდნენ, თითონ კი დადგებოდა და თუ რამე იმედი გვაქვს რაიმესი, იმას ცივ წყალს გადაასხამდა, მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ამბობს – უახლოესი 50 წლის მანძილზე თითქმის შეუძლებელიაო, მაგრამ შეიძლება უახლოეს ხუთ წელიწადშიც მოგვარდესო. ხედავთ, რა ჭკვიანი კაცია? ყველაფერი წინასწარ გათვალა, თუ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დავიბრუნებთ, კიდევ ერთხელ დაუბრახუნებს კარებს მედიას და გვეტყვის – ხომ ვამბობდიო, შესაძლოა, ბოლო 5 წელიწადში მოგვარდესო. ვერ დავიბრუნებთ და გვეტყვის, ხომ გეუბნებოდით – უახლოეს 50 წელიწადში შეუძლებელიაო.

თურმე, ნუ იტყვით და, ეს ჩვენი გიორგი ჩიხლაძე სულაც არ იყრიდა კენჭს და უარს იტყოდა მონაწილეობაზე, თუკი პაატა ბურჭულაძე მიიღებდა მონაწილეობას. პაატა ბურჭულაძეს დაუდია ჩვენი ცოდვა, მაგრამ ბიძინათიც რომ კმაყოფილია? – არ ვიცი, რატომ არიან ვიღაცები ბიძინა ივანიშვილის საქმიანობით უკმაყოფილოები, არავინ ფიქრობს, რაც ამ კაცმა ამდენი შიდაბრძოლის ფონზე შეძლო ამ ერთ წელიწადშიო. როგორც ჩანს, თავად სულ ოდნავაა უკმაყოფილო – ივანიშვილმა ფსონი მარგველაშვილზე რომ დასდო და არა მასზე. კონკურენტად არავის თვლის – ასევე კანდიდატ ჩაჩუას უთქვამს, ჩვენ ერთი საქმის გაკეთება გვინდა და კონკურენტები არ ვართო. ეგ კი არა, პრეზიდენტობის კანდიდატების კლუბის გახსნა მოინდომა – ერთად შევიკრიბოთ და დავიწყოთ ჩვენ-ჩვენი პროგრამების განხორციელებაო. ეს იდეა სალუაშვილისთვისაც გაუცნია, ჩაჩუასთვისაც, ეგ კი არა, ნინო ბურჯანაძესთან, მარგველაშვილთან და ბაქრაძესთანაც სდომებია შეხვედრა, მაგრამ სამივეს თავი გამოუდვია – შენთან შესახვედრად არა გვცალიაო. გიორგი ჩიხლაძე არ თმობს პოზიციებს – მარგველაშვილის გაცნობა მინდაო – „გიორგი მარგველაშვილს არ ვიცნობ, სურვილი მაქვს, გავესაუბრო, ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ უნდა იყოს ჩვენი პრეზიდენტი?! როგორ შეიძლება დანიშნული პრეზიდენტი გვყავდეს?!“ შე კაცო, თუ იცი, რომ მარგველაშვილი ხდება პრეზიდენტი, შენ რაღას დგახარ და მონაწილეობ, საქმე გამოგლევია? თან 23 კანდიდატიც რომ ებევრება? „ინჩე ასუმ“... 23 კანდიდატი ძალიან ბევრია, პარლამენტმა კონსტიტუცია უნდა გამოცვალოს და კანდიდატებად მარტო ისინი დაარეგისტრიროს, ვინც 200 ათას ლარს დადებსო. არ აკონკრეტებს, პირდაპირ პრეზიდენტობისთვის რამდენს „გამაზავდა“.

პრეზიდენტობა სურს 39 წლის მამუკა მელიქიშვილსაც. განათლება მცირე აკადემიაში მიიღო – ბიზნესის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით, 2 წელია კონსერვატორია, ოქტომბრის არჩევნებზე – ოცნებობდა, საბურთალოს მობილური ჯგუფის უფროსი იყო. 2007 წლიდან ერთ-ერთი შპს-ს (მგმ ჯგუფი) დირექტორია, მანამდე მერიაშიც უმუშავია – განათლების განყოფილებაში – ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სექტორის უფროსად, ის კი არა, 1998-2001 წლებში, მოქკავშირის ბუღალტერიც კი ყოფილა.

გინდათ ბუღალტერი პრეზიდენტად? შემოხაზეთ 21. ეს სხვებივით სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობასა და მტრისთვის ერთი ალაგის ლოკვას მაინც არ უჭერს მხარს. თან რას გვპირდება? ბანკებთან ურთიერთობას მოგიგვარებთო. მასეთი ერთიც ვიცი, ხალხს ბანკებთან პრობლემის მოგვარებას რომ დაჰპირდა და ხელისუფლებაში მოსულმა საკუთარ ბანკს მოუგვარა პრობლემები.

ბანკებთან პრობლემების მოგვარებასა და დაბალპროცენტიან სესხებს „მამულის“ თავმჯდომარე თეიმურაზ ბობოხიძეც ჰპირდება 70 ათას ოჯახს, რომელსაც იპოთეკური სესხების გამო გამოსახლებას ელით. მისი თქმით, მათი გამოსახლება სოციალური აფეთქებაა, ჰოდა, რომ არ ავფეთქდეთ, დაბალპროცენტიანი სესხი უნდა მივცეთ, იმასაც რომ გამოჭამენ – ისევ სესხი, აბა, შაჰიდი ქალები ხო არა ვართ, თავი ავიფეთქოთ? ისე, ამ თეიმურაზ ბობოხიძეს ერთი კარგი აზრიც აქვს უსახლკაროებთან დაკავშირებით — მათ ბინები დაურიგდეთ, მაგრამ ეს ბინები სახელმწიფოს ბალანსზე დარჩეს. ბობოხიძის წარდგენა მერობაზეც უნდოდათ, მაგრამ საბოლოოდ, იგი ბიულეტენში არ მოხვდა. პირდაპირ პრეზიდენტობა მოუნდა? რატომაც არა, თუ ლევან ჩაჩუას მოუნდა, ბობოხიძემ რა, იხვი გაუპუტა საქართველოს?

ლევან ჩაჩუა 42 წლისაა, სკოლის ასაკიდან ცეკვავდა, იყო „მეტეხის“ სოლისტი, „გეპეი“ გვიან დაამთავრა – 34 წლისამ. ეკლესიური ცხოვრებაც გვიან დაიწყო, 2002 წლიდან, მაგრამ მალევე გახდა „წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მართლმადიდებელი მრევლის კავშირის“ დამფუძნებელი, ასევე მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ერთ-ერთი აქტიური წევრი. იმდენად აქტიური, რომ ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ დააპატიმრეს კიდეც. როგორც თავად იწონებს თავს, ორჯერ უარიც უთქვამს სააკაშვილისთვის შეწყალებაზე.

„ვერსიამ“ უკვე შემოგთავაზათ აქტუალური კანდიდატების – დავით ბაქრაძის, ნინო ბურჯანაძის, შალვა ნათელაშვილის, გიორგი თარგამაძის, კობა დავითაშვილის დოსიეები. გიორგი მარგველაშვილის დოსიეს – შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

რაც შეეხება პრეზიდენტობის რამოდენიმე კანდიდატს – ნესტან კირთაძეს, აკაკი ასათიანს, ქართლოს ღარიბაშვილსა თუ თეიმურაზ მჟავიას – ვგონებ, ზედმეტი წარდგენა არც სჭირდება, საზოგადოება მათ კარგად იცნობს, ამიტომ არც ჩემი დახმარება სჭირდება, არც „გუგლის“. ასე რომ, უკვე იცით, ვინ ვინაა ცესკო-ს 23-კაციან „სპისოკში“ და არჩევანი თქვენზეა.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 3 537 719 ამომრჩეველია რეგისტრირებული

არჩევნებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები თითქმის დასრულებულია.

„ცესკო-მ ამომრჩეველთა მონაცემების დამუშავება დაასრულა. 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 537 719-ია. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ 3 613 851 შეადგინა. როგორც იცით, საზღვარგარეთ 52 სარჩევნო უბანია გახსნილი, მათ შორის ორი — ავღანეთში. საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების საერთო რაოდენობა კი 48 458-ს შეადგენს. ცესკო ორშაბათიდან საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვას იწყებს, რომელსაც ცესკო-ს წევრებთან ერთად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები დააკვირდებიან“, — განაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა.

რაც შეეხება თურქეთის იმ მოქალაქეებს, რომლებსაც პრეზიდენტმა გასულ კვირას საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, როგორც აზარაშვილმა განმარტა, ისინი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, რადგან ამისთვის შესაბამისი პროცედურების გავლაა საჭირო:

„საქართველოს მოქალაქეობა არ არის საკმარისი არც პასიური და არც აქტიური საარჩევნო უფლებისთვის, ანუ ის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თურქეთში მცხოვრებ ადამიანებს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები ამომრჩეველთა სიებში ავტომატურად მოხვდებიან. გარკვეული პროცედურებია გასავლელი, მათ შორის რეგისტრაცია საქართველოს ტერიტორიაზე, ან საზღვარგარეთ ყოფნის შემთხვევაში, ადგილობრივ საკონსულოში აღრიცხვაზე დადგომა“. საარჩევნო ბიულეტენების დამზადება 21 ოქტომბრიდან დაიწყება.

„პირველი“

ჯარისკაცთა ინტოქსიკაციის ფაქტებს მთავარი პროკურატურა გამოიძიებს

პროკურატურა ჯარისკაცთა ინტოქსიკაციის ფაქტებსა და თავდაცვის სამინისტროს ცალკეულ თანამდებობის პირთა მიერ კვების, მომსახურების შესყიდვების კანონიერებას და კონტრაქტორი კომპანიების მიერ დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამო პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების იმ ფაქტებს შეისწავლის, რამაც სავარაუდოდ, შესაძლებელი გახადა ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია.

„2013 წლის 9 ივნისიდან 2013 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთელ რიგ დანაყოფებში გამოვლინდა ჯარისკაცთა კვებითი ინტოქსიკაციისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უხეში დარღვევის არაერთი ფაქტი, რის საფუძველზეც, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე და 248-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეზე. სრული, ყოველმხრივი და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული საქმეები ამოღებულია სამხედრო პოლიციის წარმოებიდან და გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

„პირველი“

ინდუსტრიული ფორუმი – რა უშლის ხელს წარმოების სწრაფ განვითარებას და რა პრობლემებზე საუბრობენ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

18 ოქტომბერს, „ქორთიარდ მარიოტში“ მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ ორგანიზებით, პირველი ინდუსტრიული ფორუმი გაიმართა. ორგანიზატორების განცხადებით, ფორუმის მიზანია საქართველოს მთავრობის, საკანონმდებლო ხელისუფლების, მედიის, ბიზნესმენებისა და ინვესტორების ინტერესის კონცენტრირება ქართული წარმოების წინაშე არსებულ პრობლემებზე. ფორუმის ფარგლებში, „ჯორჯიან თაიმსმა“ ყველა იმ კონკრეტულ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც წარმოების სწრაფ და დინამიურ განვითარებას აფერხებს; მათ შორის, საკანონმდებლო რეგულაციებზე, საბაჟო და საგადასახადო რეჟიმებზე, სამთავრობო სტრუქტურებთან ურთიერთობის გამჭვირვალობის ხარისხზე, საინვესტიციო კლიმატზე, შრომის კოდექსზე, შეღავათებისა და პრეფერენციების სისტემაზე.

პირველი ინდუსტრიული ფორუმის პარტნიორები ეკონომიკის, ფინანსთა, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის სამინისტროები, ენერგეტიკის განვითარების ფონდი, შემოსავლების სამსახური, საკანონმდებლო ხელისუფლების შესაბამისი კომიტეტების ხელმძღვანელები, საპარტნიორო ფონდი, საინვესტიციო სააგენტო, თანაინვესტირების ფონდი და სხვადასხვა ბიზნესკომპანიები იყვნენ. პროექტის გენერალური სპონსორია კომპანია „ჯეოსტილი“.

იმის გამო, რომ მოულოდნელად, მთავრობის სხდომა დანიშნეს, პირველ ინდუსტრიულ ფორუმს მხოლოდ ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია დაესწრო, ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროებს კი მინისტრის მოადგილეები წარმოადგენდნენ, თუმცა, როგორც ფორუმის ორგანიზატორმა მალხაზ გულაშვილმა აღნიშნა, ყველა აქ გამოთქმული შენიშვნა და წინადადება ერთ პაკეტად შეიკვრება და საქართველოს მთავრობასა და მის მეთაურს ბიძინა ივანიშვილს რეაგირებისთვის გადაეცემა.

ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ ხელისუფლების ცვლილება ადეკვატურად უნდა აისახოს ბიზნესგარემოზე. მისი თქმით, მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ბიზნესის კეთების ხელშემშლელი ფაქტორები მინიმუმამდე შემცირდეს. „ქართული ოცნების“ პროგრამის ორი მნიშვნელოვანი მიმართულება, საკუთრების უფლების დაცვა და ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრებაა, რაც დავით ნარმანიას განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის მთავრობის პრიორიტეტია. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელზეც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუშაობს და რომელსაც საქართველოს პარლამენტი უახლოეს მომავალში მიიღებს.

მნიშვნელოვანი იყო „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის, მამუკა ბახტაძის გამოსვლა, რომლის თქმით, „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობა, აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად, გამჭოლი ტარიფის შემოღებაზე მუშაობს. მამუკა ბახტაძემ ინდუსტრიულ ფორუმზე განმარტა, რომ გამჭოლი ტარიფი შუა აზიიდან წამოსულ სატრანზიტო ტვირთებზე უნდა დაწესდეს იმ შემთხვევაში, თუკი ეს ტვირთები საქართველოში მხოლოდ ტრანზიტით კი არ გაივლის, არამედ ადგილზე გადამუშავდება. „საქართველოს რკინიგზა“ მზადაა, აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად, გამჭოლი ტარიფი შემოიღოს და ბიზნესისთვის სერიოზული დისკაუნტი დააწესოს.

რუსთავის „აზოტის“ წარმომადგენელმა კომპანიისთვის ელექტროენერგიის მიწოდებაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ საწარმოს დიდ პრობლემას უქმნის დენის ხარისხი, ძაბვის ხშირი ვარდნის გამო, ქარხნის აპარატურა მწყობრიდან გამოდის, რაზეც პასუხს არავინ აგებს. ამიტომ აუცილებელია, ენერგეტიკის სამინისტრომ და სემეკმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგას. სასურველია, საქართველოში მოქმედებდეს ელექტროენერგიისა და გაზის სტანდარტი, რათა უხარისხო ენერგომატარებლების გამო არც ფიზიკური და არც იურიდიული პირი არ დაზარალდეს და თუ მაინც დაზარალდება, ცხადია, მატერიალური ზარალი მიმწოდებელმა კომპანიამ უნდა აანაზღაუროს, რისი პრეცედენტიც საქართველოში არ არსებობს.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ემზარ ჯგერენაიამ ინდუსტრიულ ფორუმზე რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა წამოჭრა. მისი თქმით, კომპანია „ამერიკან ელოი კომპანი“, რომელიც საქართველოში ზესტაფონის ფეროს, ვარციხეჰესსა და ჭიათურმანგანუმს ფლობს, მანგანუმის საბადოების მონოპოლისტია და პროდუქციაზეც მონოპოლიურ ფასებს აწესებს. მან „ამერიკან ელოი კომპანის“ გენერალურ დირექტორს, დავით ჭანტურიას მარტივი კითხვა დაუსვა, უმჯობესი ხომ არ არის, მანგანუმის საბადოებს სხვა კომპანიებიც ფლობდნენ, რაც საშუალებას მოგვცემს, საბადოები უფრო ეფექტურად ამუშავდეს. როგორც **დავით ჭანტურიამ** განმარტა,

„2006 წელს, როდესაც კომპანია შეიქმნა და მანგანუმის საბადოები მხოლოდ ჩვენს ხელში გადმოვიდა, სწორი გადაწყვეტილება იყო. სამწუხაროდ, ვერ შეგედავებით, რა უფრო უკეთესია, მხოლოდ ერთი კომპანია ფლობდეს საბადოებს, თუ რამდენიმე, რადგან ამ საკითხის გადაჭრას სპეციალისტების ღრმა ანალიზი სჭირდება. რაც შეეხება მონოპოლიურ ფასს, ამაში გეთანხმებით, მაგრამ, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ბუნებრივი წიაღისეულის სარგებლობის მოსაკრებელი 21-ჯერ უნდა გაიზარდოს. ჩემთვის გაუგებარია, რა მიზნით უნდა მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება ხელისუფლებამ, რადგან მოსაკრებლის ზრდა ჩვენს მიერ წარმოებულ პროდუქციასაც არაადეკვატურად გააძვირებს და ამ პროდუქციის რეალიზაციას შეაფერხებს“.

JTI Caucasus კორპორაციული საკითხებისა და კომუნიკაციების დირექტორმა, ICC კონკურენციის კომისიის თავმჯდომარემ ნიკო მჭედლიშვილმა, ინდუსტრიულ ფორუმზე აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამინისტროში, ადგილობრივი ბაზრის დაცვის შესახებ კანონპროექტზე მუშაობენ. მართალია, ამ ეტაპზე, ეს მხოლოდ კანონპროექტია, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეული შენიშვნების შემდეგ, შესაძლოა დაიხვეწოს, მაგრამ მისი მიღება ცუდი პრეცედენტი იქნება.

პირველ ინდუსტრიულ ფორუმზე რამდენიმე ფონდის პრეზენტაციაც გაიმართა და იყო საკმაოდ ცხარე დებატები. ფორუმის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ამგვარ შეხვედრებს პერმანენტული ხასიათი ექნება, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახება.

ლიბერთი ბანკი მომხმარებლებს ინოვაციურ პროდუქტს სთავაზობს

Transferwise-ის სისტემაში ლარის გადარიცხვის შესაძლებლობა გაჩნდა

ლიბერთი ბანკი მომხმარებლებისთვის ინოვაციური პროდუქტის შეთავაზებას კვლავაც აგრძელებს. ამჯერად, ბანკის დირექტორმა სანდრო რთველაძემ პრესკონფერენცია გამართა, სადაც ფულადი გზავნილების ახალ სისტემაზე Transferwise-ით სარგებლობის შესახებ ისაუბრა.

Transferwise-ს, როგორც გზავნილების შედარებით ახალ სისტემას, უკვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ლიბერთი ბანკის დირექტორის, **სანდრო რთველაძის** განმარტებით, ესაა ფულადი გზავნილების გაგზავნისა და მიღების სრულიად ახალი, ელექტრონული ალტერნატივა, რომლის საშუალებით, თანხის გაგზავნა უკვე ელექტრონულად, სახლიდან გაუსვლელადაა შესაძლებელი. რაც მთავარია, ასეთი გზავნილი სხვა საბანკო გადარიცხვებზე ბევრად იაფია:

„გზავნილების ახალი სისტემა Transferwise საკმაოდ უნიკალური გზავნილია. საქართველოში Transferwise-ით გზავნილის მიღება შესაძლებელია 50 ქვეყნიდან, ნებისმიერი ბანკის ანგარიშზე, მაგრამ ლიბერთი ბანკის ანგარიშზე თანხის მიღების ტარიფი ბევრად იაფია. გზავნილების მიღება და გადაგზავნა, ამიერიდან, უკვე ლარშიც შეგიძლიათ, რაც მთავარია, კონვერტაცია უფასოა. თუ გსურთ, საქართველოდან უცხოეთში ასეთი გზავნილი გაგზავნოთ, შეგიძლიათ სპეციალურ ვებგვერდს Transferwise.com-ს ეწვიოთ და ბანკში მიუსვლელად, ამ მომსახურებით ისარგებლოთ, რაც ინოვაციაა“.

რაც შეეხება ტარიფებს, სანდრო რთველაძის თქმით, სხვა გზავნილებსა და ინტერნეტით სარგებლობაზე, **Transferwise**-ის ტარიფი 20-დან 50%-მდე იაფია. ამგვარი სიიაფე კი იმითაა განპირობებული, რომ კონვერტაცია უფასოა. სანდრო რთველაძის განმარტებით, ეს იმას ნიშნავს, რომ კონვერტაცია მხოლოდ საბანკო კურსით, ყოველგვარი მარჟის გარეშეა შესაძლებელი. გარდა ამისა, **Transferwise**-ით სარგებლობის შემთხვევაში, გზავნილების აკუმულირება ხდება, რის საფუძველზე, გაგზავნის დროს, ტარიფი ეკონომიური გამოდის.

სანდრო რთველაძის თქმით, ახალი, ინოვაციური სისტემა უკვე ფუნქციონირებს და რამდენიმე დღის წინ ამ სისტემაში ქართული ლარიც ჩაერთო. აქამდე ახალი სისტემა საქართველოში არ არსებობდა, შესაბამისად, ლარის გაგზავნა და მიღება შეუძლებელი იყო. **Transferwise**-ის სისტემაში პირველად გაჩნდა ლარის გადარიცხვის შესაძლებლობა, რომლის ოპერირებას ლიბერთი ბანკი ახორციელებს.

მაია მიშელაძე

როგორ დახვეწეს ნაციონალებმა მოსახლეობის მოტყუების სქემა და რა ხდება რეალურად ქართულ ეკონომიკაში

ლევან ღვინიაშვილი

საზოგადოებრივ მაუწყებელზე საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის გამართული დებატების შემდეგ, ბევრი კითხვა გაჩნდა. უფრო ზუსტად, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა, დავით ბაქრაძემ ეკონომიკური ფრაზებისა და ციფრების თამაშით ისეთი ვითარება დახატა, თითქოს ქვეყანა კატასტროფის ზღვარზე იდგეს. პრინციპში, ტერმინს „ეკონომიკური კატასტროფა" ნაცმოძრაობის წევრები არცთუ იშვიათად ხმარობენ, ცდილობენ, მოსახლეობა დაარწმუნონ, რომ მათი წასვლის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და „აყვავებისკენ" დიდი ნაბიჯებით სვლა შენელდა. არადა, ცალკეულ საპრეზიდენტო კანდიდატთა მოსაზრებების ანალიზის გარეშეც კი გვაქვს შესაძლებლობა, წარმოვადგინოთ 2013 წლის რეალობა საქართველოში.

ის რომ 2012 წლის განმავლობაში, 2011 წელთან შედარებით, უცხოური ინვესტიციების კლებაა, დოვლათის გადანაწილების კუთხით, სერიოზული პრობლემა რომაა ქვეყანაში და მცირე ბიზნესის წილი, ბიზნესის საერთო ბრუნვის მაჩვენებელში, 20 პროცენტს არ აღემატება — ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატმა გააჟღერა. არადა, ამ მხრივ, რეალური ფაქტების ანალიზი სრულიად სხვა სურათს გვაძლევს. მსჯელობის გასამყარებლად შეგვიძლია ფაქტების ციფრობრივი ანალიზი მოვახდინოთ.

რეალობა არის ის, რომ რიგ შემთხვევებში, ეკონომიკაში პრობლემები 2012 წლიდან დაიწყო და რეალობაა ისიც, რომ 2013 წლის ცალკეული, მნიშვნელოვანი მაჩვენებლები უკეთესია, ვიდრე 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელი. კერძოდ, 2012 წლის პირველი სამი კვარტალი გამოირჩეოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების ტენდენციით, 2011 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით. ეს კლება შეჩერდა და ზრდა დაიწყო 2012 წლის მეოთხე კვარტალში. ამასთან, 2013 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალო კვარტლური მაჩვენებელი 2012 წლის საშუალო კვარტლურ მაჩვენებელს აღემატება. რაც შეეხება დასაქმებას, ამ დროისთვის, ოფიციალურად მოცემული მაჩვენებლებით, ბიზნესსექტორში 2013 წლის მეორე კვარტალში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და ეს იმ ფონზე, როდესაც ბიზნესსექტორში დასაქმებული ადამიანების ანაზღაურება გაზრდილია. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი, ბრუნვის მიხედვით, 20 პროცენტზე ნაკლებია, რაც აზერბაიჯანის შემდგომ, ყველაზე ცუდი მაჩვენებელია. რაც შეეხება უთანასწორობას: ჯინის ინდექსის მიხედვით, საქართველოს საკმაოდ ცუდი მაჩვენებელი აქვს და უთანასწორობა გაცილებით მაღალია, ვიდრე თუნდაც სომხეთში ან აზერბაიჯანში.

ნაციონალებმა ეს არ იკმარეს და აქცენტი უკვე ინვესტიციების აშკარა შემცირებაზე გააკეთეს და ეს მაშინ, როცა რეალობა სხვაგვარია. შეიძლება ყველაფერი ტყუოდეს, ციფრების გარდა. ციფრებში კი ვითარება ასეთია: 2013 წლის ორი კვარტლის განმავლობაში საქართველოში შემოვიდა 458 600 000 დოლარის ინვესტიცია. ეს მაჩვენებელი მცირედით, მაგრამ მაინც აღემატება 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, თითქმის 84 მილიონით აღემატება 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო 167 მილიონ დოლარზე მეტად აღემატება 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება 2012 წელს, მას პირდაპირ 2013-ს ვერ შევადარებთ, რადგან ჯერ არ ვიცით 2013 წლის მესამე და მეოთხე კვარტლის მაჩვენებლები, თუმცა თუ საშუალო კვარტლურ მაჩვენებელს ავიღებთ, 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება კვარტლურად თითქმის მილიონნახევარი დოლარით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2013 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს თითქმის 15 მილიონი დოლარით აღემატება. იქნებ ვინმემ დაგვიკონკრეტოს, რომელი ციფრი გვეუბნება, რომ ვითარება გაუარესებულია?

რა მოხდა რეალურად?! 2012 წლის პირველივე კვარტლიდან იწყება ინვესტიციების კლება, 2011 წელთან შედარებით. 2012 წლის პირველ კვარტალში, 2011 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, ინვესტიციები შემცირდა 81 მილიონ დოლარზე მეტით. 2012 წლის მეორე კვარტალში, 2012 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ინვესტიციებმა კიდევ 43.5 მილიონი დოლარით იკლო. 2012 წლის მეოთხე კვარტალში, 2012 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, კლება კვლავ გაგრძელდა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კიდევ თითქმის 19 მილიონი დოლარით შემცირდა. ჯამში, 2012 წლის სამი კვარტლის განმავლობაში, 2011 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითქმის 144 მილიონი დოლარით შემცირდა. ფაქტია, ინვესტიციების შემცირების ტენდენცია დასრულდა სწორედ „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როდესაც 2012 წლის მეოთხე კვარტალში, 2012 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითქმის 35 მილიონით გაიზარდა.

როგორც ჩანს, „საფუძვლიანად" მომზადებულ ბაქრაძეს კიდევ ერთი „კოზირი" ჰქონდა და ყარაულის თოფივით ისროლა — ათეულობით ათასი სამუშაო ადგილი დაიკარგა და ამაზე რაღას იტყვითო. ციფრების ანალიზი სხვას ამტკიცებს: დაახლოებით, 30 000 ადამიანითაა შემცირებული 2013 წელს ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, 2012 წლის ჯამურ მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ რატომ ვსვამთ ასე კითხვას? აქ მხოლოდ 2013 წლის ორი კვარტლის მაჩვენებელია მოყვანილი, 2012 წლის მაჩვენებელი კი სრულ წელს ეყრდნობა. ფაქტი ერთია, უფრო ზუსტი პასუხისთვის ერთმანეთს უნდა შედარდეს 2012 წლის პირველი და მეორე კვარტლისა და 2013 წლის პირველი და მეორე კვარტლის მაჩვენებელი. ასეთი შედარებით კი ვიღებთ შემდეგ შედეგს: 2013 წლის ორი კვარტლის მაჩვენებლების მიხედვით, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 2012 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი დეტალი: 2013 წლის მხოლოდ ორი კვარტლის განმავლობაში ბიზნესსექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობრივი მაჩვენებელი აღემატება 2004-2011 წლების ანალოგიურს, ანუ წლებს, როცა ჩვენი ქვეყანა თითქოს ყვაოდა. პლუს ამას, 2012 წლის წლიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2013 წლის მხოლოდ ორი კვარტლის მონაცემების მიხედვით, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა ანაზღაურება 10 პროცენტზე მეტადაა გაზრდილი.

ყველაზე საგანგაშო, რაც საპრეზიდენტო დებატებისას ითქვა, გიორგი მარგველაშვილის მხრიდან გაისმა და აქცენტი საქართველოში დოვლათის არათანაბარ გადანაწილებაზე გაკეთდა. ამ მხრივ, რეალობა საქართველოში მართლაც საგანგაშოა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში ჯინის კოეფიციენტი ბოლო წლების განმავლობაში 40 პროცენტს აღემატება, მაგალითისთვის სომხეთსა და აზერბაიჯანში უთანასწორობის მაჩვენებელი ჯინის კოეფიციენტი, მიხედვით საქართველოზე ბევრად დაბალია, სომხეთში ჯინის კოეფიციენტი 30 პროცენტზე ოდნავ მეტია, ხოლო აზერბაიჯანში დაახლოებით, 17 პროცენტამდეა. „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატმა ასევე ისაუბრა მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალ წილზე ბიზნესის საერთო ბრუნვაში. რეალურად, ეს ასევე სერიოზული პრობლემაა ქვეყანაში და მისი წილი ბრუნვის მიხედვით 20 პროცენტზე ნაკლებია. შედარებისათვის, „SME პოლიტიკის ინდექსი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2012" მიხედვით, უკრაინაში ანალოგიური მაჩვენებელი 50 პროცენტზე მეტია, სომხეთში SME-ის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 42 პროცენტს, ხოლო მოლდოვაში ეს მაჩვენებელი 28 პროცენტს აღემატება, 20 პროცენტია მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბელორუსის მთლიან შიდა პროდუქტში. ზოგადად, ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოების წილი, დაახლოებით, 60 პროცენტს შეადგენს, ანალოგიური მაჩვენებელია ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

მსხვილი ბიზნესის წილი ბრუნვის მიხედვით საქართველოში 2008 წლიდან 2011 წლამდე გარკვეული შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა 2012 წელს ამ მაჩვენებელმა კვლავ ზრდა დაიწყო და, 2011 წელთან შედარებით, სამი პროცენტით გაიზარდა. „ვერსიამ" ამ საკითხზე კომენტარი საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკის ექსპერტს, ბატონ **ივანე მაჭავარიანს** სთხოვა.

— ბატონო ვანო, დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ საქართველოში ინვესტიციების კლებაა და საერთაშორისო ბიზნესსექტორი აქ კაპიტალდაბანდებას ერიდება?

— ნაციონალური მოძრაობა ითვლის ისე, როგორც აწყობს. ისინი 2012 წელს მთლიანად ადარებენ 2013-ს და ეს მაშინ, როცა წელი ჯერ არ დასრულებულა. ესეც არ იყოს, 2012 წელს უკვე შეინიშნებოდა ინვესტიციების სერიოზული კლება და ეს პრობლემა მწვავედ იდგა მაშინდელი ხელისუფლების წინაშე. შეადარეთ ციფრები ერთმანეთს და ყველაფერი ნათელი გახდება. თანაც, ამ მახინჯი კოჰაბიტაციის პირობებში, რომელიც, საბედნიეროდ, მალე დასრულდება, კლება მოსალოდნელიც იყო, მაგრამ ჯერჯერობით ის, რასაც ბაქრაძე ამბობს, უბრალოდ, ტყუილია.

— და მათ მიერ დაანონსებული ეკონომიკის 6%-იანი ზრდაც რომ არ ჩანს?

— გეტყვით ეს რის საფუძველზე დააანონსეს. მათ იმდენად გაუჭირდათ, რომ საპარტნიორო ფონდი გააკეთეს და სურდათ, ამით მოეხიბლათ ბიზნესმენები. ანუ სახელმწიფო ამბობდა, გააკეთეთ აქ ბიზნესი და 49%-იან დაფინანსებას მოგცემთო. პროექტი „ლაზიკაც" თავიდანვე ერთი დიდი აბსურდი იყო, რაც ბიზნესმენების მოზიდვას, დიდი პროექტების ვითომ დაწყებასა და იმ შთაბეჭდილების შექმნას ემსახურებოდა, რომ თითქოს ეკონომიკა წინ მიდიოდა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კი გაირკვა, რომ ეს ყველაფერი იყო მხოლოდ ქაღალდზე, რეალობაში კი, არაფერი არსებობდა, ამიტომაც არ მოხდა ის 6%-იანი ზრდა, მაგრამ რაც მოხდა, რეალურია და ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. თანაც, ხელისუფლების გადაცემის პროცესში, ეკონომიკის ვარდნა ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა ჩვენ არ გვაქვს საქმე ვარდნასთან, უბრალოდ, რეალურ სამყაროში დავბრუნდით.

— ნაციონალური მოძრაობა პენსიების ზრდასაც ითხოვს...

— სხვათა შორის, დაგროვებითი პენსიის პროგრამის იდეა მათაც ჰქონდათ. ამაზე გილაური, გვინდაძე და ადეიშვილი მუშაობდნენ ისევე, როგორც ე.წ. საპარტნიორო ფონდზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მიხვდნენ, რომ რეალურად, სახელმწიფოში ჰყავდათ 650 ათასი დასაქმებული, აქედან ნაწილი უცხოელებზე მოდიოდა. დაგროვებითი პენსია უნდა განხორციელებულიყო საშემოსავლო გადასახადის ხარჯზე და ეს მაშინ, როცა გადასახადების 70% პენსია-ხელფასებზე მიდის. ეს ნაბიჯი მათთვის პოლიტიკურად წამგებიანი იყო, რადგან არ აწყობდათ ვინმეს ეთქვა, მთავრობას ფული არ აქვსო.

— საქართველოში დოვლათის არათანაბარ გადანაწილებაზე მარგველაშვილმა გააკეთა მინიშნება...

— წინა ხელისუფლებას სოციალური თემები არ აინტერესებდა, ცხოვრობდა ბენდუქიძის პრინციპით: თუ გადარჩები, ხომ კარგი, თუ არა და... სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა თუ სხვათა დახმარებები, რეალურად ერთ კონკრეტულ ჯგუფზე ნაწილდებოდა და მოსახლეობა ვერაფერს იღებდა. ნაციონალები სიამაყით აცხადებდნენ, რომ მილიონზე მეტი სოციალურად დაუცველი იყო და რას აკეთებდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად? არაფერს. ეკონომიკის ზრდას კი კრედიტით აღებული თანხებითა და გზების დაგებით ცდილობდნენ.

— ბატონო ვანო, კოჰაბიტაციის დასასრული ახსენეთ, საპარლამენტო უმცირესობა კი ჯიუტად აცხადებს, კოჰაბიტაცია ვერ დასრულდება, რადგან პარლამენტში ერთადერთი ოპოზიციური პარტია ვართო...

— ისევ ტყუიან. ეს ტერმინი ევროპიდან შემოვიდა და არასაპარლამენტოა. კოჰაბიტაცია ნიშნავს იმას, რომ პრემიერი ხელისუფლების წარმომადგენელია, პრეზიდენტი კი ოპოზიციის. არჩევნების შემდეგ პრეზიდენტიცა და მთავრობაც ერთი გუნდის წარმომადგენლები იქნებიან და ერთად იმუშავებენ, იმ მცირე ჯგუფს კი, რომელიც თავს საპარლამენტო ოპოზიციას უწოდებს, რეალურად, არანაირი ბერკეტი არ ექნება. კოჰაბიტაცია ამ თვეში დასრულდება.

ვერსიანიუსი

აჭარის რეგიონში სტიქიით მიყენებულმა ზარალმა, დაახლოებით, 1 მლნ ლარი შეადგინა

აჭარაში სტიქია მძვინვარებს. გოდერძის უღელტეხილზე მოსულმა თოვლმა მოძრაობა შეაფერხა. აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას დაუკავშირდნენ და ადგილზე სპეციალური ტექნიკა უკვე მობილიზებულია და გზის გაწმენდითი სამუშაოები უახლოეს ხანებში დაიწყება. აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილის მამუკა თურმანიძის განცხადებით, ძლიერი წვიმის შედეგად ქობულეთის სანაპირო ზოლში შტორმმა 6.2 ბალი შეადგინა, ბათუმში კი — 5.3. დაიტბორა ბათუმის ცენტრალური ბულვარი და მთელი სანაპირო ზოლი. როგორც თურმანიძემ „პირველის" ადგილობრივ კორესპონდენტს განუცხადა, უწყება ამინდის მოსალოდნელი გაუარესების შესახებ ინფორმაციას ფლობდა, რის შედეგადაც სააგენტოს თანამშრომლები სანაპირო ზოლზე მთელი ღამის განმავლობაში პატრულირებდნენ.

„სერიოზული ზარალი არ არის. არც მოსახლეობისგან შემოსულა შეტყობინება დახმარების თხოვნით. წუხელ, გვიან ღამით, ადგილზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე და სხვა ოფიციალური პირებიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც სანაპირო ზოლი დაათვალიერეს", — განაცხადა თურმანიძემ.

„პირველი"

„სანამ რუსეთი ტერიტორიულ პრეტენზიებს არ დათმობს, სრულფასოვანი ურთიერთობა ვერ გვექნება“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ტელეკომპანია МИР-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთთან ურთიერთობების დამყარებას რაციონალურ საფუძველზე აპირებს: **„რუსეთთან ურთიერთობების დამყარებას, რაციონალურ საფუძველზე, ორივე მხარეს არსებული მოჭარბებული ემოციების გვერდის ავლით ვაპირებ. რაციონალურ დიალოგამდე კი, საკმაოდ რთული პროცესია და სწრაფი რეაგირების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობებში გარკვეული წინსვლაა, თუმცა ამავდროულად, გვაქვს პრობლემები ცხინვალის რაიონში, სადაც რუსი სამხედროები მავთულხლართებს აბამენ. ეს ძალიან მტკივნეულია“.**

მისივე თქმით, ქართული მხარე გააგრძელებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის არაღიარებას. ერთ რესპუბლიკაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ანომალიაა და ამას არც საერთაშორისო თანამეგობრობა აღიარებს: **„ჩვენ შევქმნით ისეთ საქართველოს, რომელიც საინტერესო იქნება როგორც აფხაზებისთვის, ისე ოსებისთვის. შევქმნით საქართველოს, სადაც თავშესაფარსა და თავისუფლებას ნებისმიერი ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების წარმომადგენლები იპოვნიან“.**

რაც შეეხება რუსეთის საბაჟო კავშირში საქართველოს შესაძლო გაწევრიანების საკითხს, მარგველაშვილის განცხადებით: **„საბაჟო კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივების ევროპულ გაერთიანებასთან შედარებისას, ნათელია, რომ საბაჟო კავშირი არც პოლიტიკურ და არც ეკონომიკურ ჭრილში არ არის მომგებიანი. საქართველოსთვის ევროკავშირში ახალი ბაზრები და ახალი ეკონომიკური პერსპექტივები იშლება. ევროპა ჩვენი პოლიტიკური სახლია“.**

მისივე თქმით, სამწუხაროდ, დსთ-მ საქართველოს არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით, კარგი არაფერი მოუტანა და დსთ-სკენ იმედის თვალით ყურება ირეალისტურია. ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობების შედეგად კი, საქართველოს ტრანზიტული ფუნქციები გაიზრდება: **„მნიშვნელოვანი გეგმები გვაქვს – შევქმნათ თანამედროვე ევროპული სახელმწიფო, თანამედროვე დემოკრატია, რომელიც უცხო არ არის ჩვენი ქრისტიანული და ტოლერანტული კულტურის მქონე ერისთვის და ამასთან ერთად, გავხდეთ დიდი ბაზრის წევრები“.**

პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, საქართველოსთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, ამ ეტაპზე, ქართული სახელმწიფოს შენარჩუნების შესაძლებლობაა: **„უნდა შევინარჩუნოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის ნატო ძალიან საინტერესო ალიანსია“.**

მარგველაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ პოლიტიკაში მოსვლამდე ფილოსოფიის შესახებ რუსულ ენაზე წიგნიც აქვს დაწერილი: **„პროფესიით ფილოსოფოსი ვარ, პოლიტიკაში მოსვლამდე რექტორი ვიყავი, ფილოსოფიის შესახებ წიგნი რუსულ ენაზეც მაქვს დაწერილი, თითოეული ქართველის მსგავსად, ძალიან მიყვარს მიწაზე მუშაობა — ამჟამად ქალაქგარეთ ვცხოვრობ და სოფლის მეურნეობით ვარ დაკავებული, მომყავს პომიდორი, ლობიო და ვარდები. მიწის დამუშავება მისტიკური პროცესია თითოეული ქართველისთვის, რომელთათვისაც ეს ენერგიისა და სწორად აზროვნების რესურსია“.**

რუსეთთან სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივებზე, „ვერსია“ გამსახურდიასდროინდელი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრს, **თენგიზ სიგუას** ესაუბრება.

— ბატონო თენგიზ, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოსკოვთან რაციონალურ საფუძველზე ურთიერთობის დამყარება?

— სანამ რუსეთი ტერიტორიულ პრეტენზიებს არ დათმობს, სრულფასოვანი ურთიერთობა ვერ გვექნება. სავაჭრო-კულტურული კავშირები, კი ბატონო, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის წინააღმდეგი ვარ. კაცმა ტერიტორიები წაგართვა და როგორ შეიძლება მასთან მეგობრობა? მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 60 წელი გავიდა, რუსეთ-იაპონიას შორის ნორმალური ურთიერთობა კი არა და არ მყარდება — ტოკიოსთვის წართმეული 4 კუნძული ამის საშუალებას არ იძლევა. ჩვენც ასეთ ვითარებაში ვართ.

მოსკოვი უკან არ დაიხევს, ეს ძნელადწარმოსადგენია და სანამ არ დასუსტდება, ამის პერსპექტივა ირეალურია. ნავთობპროდუქტის მოპოვების საქმეში აშშ-მ მართლაც რევოლუციური აღმოჩენები გააკეთა და რუსეთი უკან იხევს. ამ ქვეყნის ძირითადი შემოსავალი ხომ ენერგომატარებლების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის გაყიდვაა.

— რა ტიპის რევოლუციურ აღმოჩენებზე საუბრობთ?

— დაახლოებით 25-30 წლის წინ, იქაურ სამეცნიერო შრომებში პირველად წავიკითხე, რომ ამერიკელებმა ნავთობის მოპოვების ახალი წყაროს ძიება დაიწყეს. ეს არის მინერალი, რომელიც ნავთობპროდუქტს შეიცავს, ოღონდ იმდენად მცირე რაოდენობით, რომ, როცა საქმეს პირველად გავეცანი, მის პერსპექტივას ვერ ვხედავდი. ამერიკელები ამით დიდ წარმატებას ვერ მიაღწევენ-მეთქი, ვფიქრობდი.

2011 წელს უცებ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკელებმა ტექნოლოგიის დამუშავებაში წარმატებას მიაღწიეს და აღნიშნული მინერალიდან ნავთობი გაცილებით იაფად მიიღეს, ვიდრე რუსეთი ყიდის ამ რესურსს ევროპის ბაზარზე. ამის შემდეგ მსოფლიოში, მათ შორის ევროპაში, მინერალის სწრაფი ძებნა დაიწყო, რამაც გადატრიალება მოახდინა და უკვე მიმდინარე წლის ბოლოს, აშშ პირველად გადაასწრებს რუსეთს ნავთობმოპოვებაში, გაისად, წლიურ ბალანსში კი უფრო გაასწრებს. რევოლუციურმა აღმოჩენამ რუსეთს ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა. მის ექსპორტში 75% ენერგომატარებლების გასაღებიდანაა, ხოლო ტექნოლოგიური ნაწარმის გაყიდვა რუსეთში სასაცილო 5%-ია. არადა, ყველა ნორმალური ქვეყნის ექსპორტში 50%-სა და მეტს შეადგენს.

რუსეთის ტექნოლოგიური ნაწარმი მანქანა-დანადგარები, თვითმფრინავები, ავტობუსები, ამწეები, ჩარხები... იმდენად მდარე ხარისხისაა, რომ მსოფლიო ბაზარზე გასაღება არ აქვს და, ძირითადად, შუა აზიის რესპუბლიკებში იყიდება.

— დღეს ქართულ მხარეს რა რესურსი აქვს, ოკუპაციის შედეგებს გაუმკლავდეს და განვითარება განაგრძოს?

— მოსკოვი ე.წ. აღიარებას უკან არ წაიღებს. ეს ძლიერი ალიყური იქნება მისთვის და პოლიტიკურადაც წააგებს... ამ ფონზე, არ ველი, რომ უახლოეს მომავალში გადაწყვეტილებაზე უარს იტყვის და საქართველოს ამ ავტონომიურ წარმონაქმნებს დაუბრუნებს. ამავე დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში უაღრესად დაძაბული ვითარებაა — დღე არ გავა, ტერაქტი არ მოხდეს. პრაქტიკულად, ყველა ავტონომიურ რესპუბლიკაში ანტიმოსკოვური მოძრაობები ძლიერდება, დაწყებული დაღესტნიდან, ყაბარდო-ბალყარეთით დასრულებული. კავკასია რუსეთისთვის დიდი თავისტკივილი ხდება.

— სოჭის ოლიმპიადის პარალელურად, ვითარების გართულება მოსალოდნელია?

— სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს და პოლიტიკის გამო სპორტი არ უნდა დაზარალდეს. ჩვენებმა ოლიმპიადაში მონაწილეობა უნდა მიიღონ — ეს ცუდი არ იქნება, მაგრამ არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური შეთანხმების თვალსაზრისით, რაიმე დეტალი მოგვარდება. სანამ რუსეთი არ დაუძლურდება და ბოროტ განზრახვაზე ხელს არ აიღებს, ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება გამორიცხულია. იაპონია-რუსეთს შორის ღია ვაჭრობა მიდის, კულტურული გაცვლები ძალიან მაღალ დონეზეა, სპორტული ღონისძიებები ტარდება, მაგრამ პოლიტიკა დაძაბულია. ოფიციალური ტოკიო მოითხოვს კუნძულების დაბრუნებას და ასეთი პოზიცია უნდა გვქონდეს ჩვენც. ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ერთ ამბავს გეტყვით, რაც შეიძლება ჩვენი მოსახლეობისთვის უცნობია. თავის დროზე, ერთი დიდად საიდუმლო მოსკოვური დოკუმენტის გაცნობის საშუალება მომეცა.

90-იან წლებში, აკადემიკოს ბრომლეის სახელობის ეთნოგრაფიის სამეცნიერო ინსტიტუტს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რუსეთის უშიშროებამ დაავალა განესაზღვრა, სსრკ-ს დაშლის შემდეგ რა უნდა მოემოქმედა მოსკოვს, რათა ყოფილი რესპუბლიკები თავის ორბიტაზე შეენარჩუნებინა. ამ ინსტიტუტში ძლიერი მეცნიერები იყვნენ თავმოყრილნი და იქ ნაცნობები მეც მყავდა, რომელთა დახმარებით, ცენტრის მიერ მომზადებული დოკუმენტის გაცნობის საშუალება მომეცა. მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ — ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და გილიოტინაზე თავებს ვერ დავადებინებ. დაახლოებით, 50-გვერდიანი დოკუმენტი იყო, რომელშიც ორი ძირითადი რეკომენდაცია ეწერა. პირველი: ყველა რესპუბლიკაში არაავტოქტონური (არაადგილობრივი) ხალხისგან შეიქმნას „ინტერფრონტი“. საქართველოში ამის უშედეგო მცდელობა იყო. მოსკოვი ემისრებს გზავნიდა, რომ ეს წინააღმდეგობის ინტერფრონტები მსხვილ საწარმოებშიც კი შეექმნათ არაქართველი მუშებისგან, მაგრამ არ გამოუვიდათ, სამაგიეროდ, უკრაინაში, ყაზახეთსა და ბალტიისპირეთში ნაწილობრივ მოახერხეს ეს, საქართველოში კი, კარგად იმუშავა მეორე რეკომენდაციამ — პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ წარმონაქმნებში ანუ ავტონომიურ რესპუბლიკებში შეექმნათ წინააღმდეგობა ადგილობრივი ხელისუფლებისადმი. ამ მიზნით, რუსეთის კაგებე-ს ხელდასხმით შეიქმნა ორგანიზაციები „აიდგილარა“ და „ადამონ ნიხასი“. არ დაიჯეროთ, რომ ეს აფხაზებმა და ოსებმა ჩაიდინეს. ყველაფერში რუსების ხელი ურევია და სანამ ეს პოლიტიკა არ შეიცვლება, ნორმალური ურთიერთობა ვერ დამყარდება.

ვერსიანიუსი

შსს-ს წარმომადგენლებისა და სამთავრობო კომისიის წევრების შეხვედრები შიდა ქართლის მოსახლეობასთან დასრულდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, სამინისტროს წარმომადგენლები, დროებითი სამთავრობო კომისიის წევრებთან ერთად, ქარელისა და ხაშურის რაიონების ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში იმყოფებოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრაზე სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას, რეგიონში მიმდინარე და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდეს. ამით შიდა ქართლის რეგიონის ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლების მონახულება დასრულდა და მომავალი კვირიდან სამთავრობო კომისიის წევრები დასავლეთ საქართველოს რეგიონის ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებს მოინახულებენ.

„ვერსიანიუსი“

ქართველები განრისხდნენ, რადგან ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვართან ღობე აღმართეს

RadioFreeEurope RadioLiberty

პატარა ქართულ სოფელ დვანს, რომელსაც დამრეცი მთები აკრავს და რომლის ბაღებიც მზითაა განათებული, ნამდვილად უწოდებდი ულამაზესს, რომ არა მავთულხლართები, რომელიც სოფელს კვეთს. დვანში, დაახლოებით, 1 000 მოსახლეა და ის ზუსტად იმ სადემარკაციო ხაზზე მდებარეობს, რომელიც სეპარატისტულ რეგიონს — „სამხრეთ ოსეთს“ დანარჩენი საქართველოსგან გამოყოფს. ამ უიღბლო მდებარეობის გამო, სოფელი იმ ტერიტორიული დავის ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა, რომლის გამოც თბილისი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრორუს ოს სეპარატისტებთან დაპირისპირებაშია.

2008 წელს, ამ სადავო რეგიონის გამო მომხდარ ხანმოკლე ომში (თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ, რაც საქართველოს სამთავრობო ძალებსა და ოს მეამბოხეებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო), დვანი დაბომბეს და გაძარცვეს და მას მერე, რაც რუსეთმა სამხრეთ ოსეთი სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა, დვანმა აღმოაჩინა, რომ მოსკოვის აზრით, ის ნამდვილ სახელმწიფო საზღვარზე მდებარეობს, საზღვარზე, რომელიც ქართველთა თქმით, სულ უფრო ღრმად მოცოცავს მათი ტერიტორიებისკენ.

გასულ თვეს რუსულმა ჯარმა სასაზღვრო ზოლის გასწვრივ მავთულხლართების შემოვლება დაიწყო და რეალურად მოწყვიტა დვანელები მათ მიწის ნაკვეთებს, მამაპაპურ სახლებსა და სასაფლაოებს.

„რუსეთმა ჩვენი ტერიტორიები ჩვენ უნდა დაგვიტოვოს — თვითონ გადავწყვეტთ ჩვენს პრობლემებს ყველასთან, იქნებიან ეს ოსები, სომხები თუ აზერბაიჯანელები. ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიცხოვრებთ, როგორც გვიცხოვრია“, — ამბობს ლეილა ჯანუაშვილი, დვანის მკვიდრი, — **„რუსეთი აღარ უნდა ჩაერიოს, აღარ უნდა წააქეზოს ხალხი ერთმანეთის წინააღმდეგ“.**

რუსული სასაზღვრო პატრული

2008 წლის ომის შემდეგ, „სამხრეთ ოსეთმა“ საკუთარი საზღვრების დაცვის უფლება რუსებს გადასცა იმ მიზეზით, რომ თვითონ სასაზღვრო პატრული არ ჰყავს. სასაზღვრო ზოლის 400 კმ-ზე 2 წლის შემდეგ მეტალის ბარიერების შენება დაიწყეს, თუმცა პროექტზე მალე თქვეს უარი. მაშინ დვანი გადარჩა, მაგრამ დაძაბულობა არ ცხრებოდა. როცა ხმა გავარდა, რომ ზოგიერთ მეზობელ სოფელში ღობეების შენება დაიწყეს, ჯანუაშვილსა და მის ქმარს, თეიმურაზ კოპაძეს დრო უქმად არ დაუკარგავთ — სასწრაფოდ მოკრიფეს ვაშლი საზღვრის მეორე მხარეს მდებარე ბაღებში. სხვა ადგილობრივებივით, მათი ოჯახისთვისაც ვაშლი შემოსავლის მთავარი წყაროა. გასულ კვირას ისინი დამწუხრებულები გაემართნენ სასაზღვრო ზოლისკენ, რადგან აღარ აქვთ იმედი, რომ ოდესმე საკუთარ ბაღებში შესვლას შეძლებენ. მათ გასაოცრად, მესაზღვრეები არსად ჩანდნენ, არსად ჩანდა ღობეებისთვის ჩაყრილი ბოძები, ხოლო მავთული ბალახში იყო მიმოფანტული. **„ყველაფერი მოშალეს, ბოძებიც კი, რამაც ძალიან გაგვახარა“,** — გვითხრა კოპაძემ, — **„სვეტებიც და ბოძებიც წაიღეს“.**

მართალია, ღობის მშენებლობა ბოლომდე არ მიუყვანიათ, ის, რაც უკვე ააგეს, ადგილზეა დატოვებული. ასევე მოხდა მეზობელ სოფელ დიცში, ღობეების მშენებლობა უცბად შეაჩერეს. რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ „სამხრეთ ოსეთი“ აღნუსხავს თავის ტერიტორიულ საზღვრებს საბჭოთა რუკების მიხედვით, არადა მაშინ, ის საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა ავტონომიური რეგიონის სტატუსით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო თბილისის განცხადებები, რომ სასაზღვრო ზოლმა გადმოიწია საქართველოს ტერიტორიებისკენ: **„თუ თბილისი გააგრძელებს „პოლიტიკურ სპეკულაციებს“, ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება“.**

დასავლეთის კრიტიკა

შემოღობვა აშკარად იმიტომ შეაჩერეს, რომ დასავლეთიდან კრიტიკის მძლავრი ტალღა წამოვიდა. აშშ-მ, ევროპის კავშირმა და ნატო-მ ხმამაღლა გამოხატეს შეშფოთება, რომ რუსეთის დახმარებით, დანარჩენი საქართველოსგან „სამხრეთ ოსეთის“ იზოლირება ხდება. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა: **„ეს არ შეესაბამება რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებსა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ადგილობრივებს სირთულეებს უქმნის“.** ევროკავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კეტრინ ეშტონმა თქვა, რომ ასეთი აქტივობა „სერიოზულ პრობლემებს“ უქმნის რეგიონის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ყველამ ისევ მოსთხოვა რუსეთს „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის აღიარების ანულირება... რაც უნდა გამხდარიყო რუსული ჯარების აქედან, თუნდაც დროებით წასვლის მიზეზი, დვანელებს ამ ფაქტმა შვება მოჰგვარა. აქაურებიდან ზოგიერთს იმის იმედი აქვს, რომ ინციდენტი და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ახალ სულს შთაბერავს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ძალისხმევას. **„ვერაფერი აღგვიდგენს დანაკარგს, მაგრამ მოგვეცა იმედი, რომ ახალი მოლაპარაკებები დაიწყება“,** — ამბობს დვანელი ანო მახაჩაშვილი, — **„მგონია, ეს იმის ნიშანია, რომ რუსები უკან იხევენ. იმედი ბოლოს კვდება. წასვლას არსად ვაპირებთ“.**

ხელისუფალნი თბილისში უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი.

საქართველოსა და რუსეთს დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვთ და მოსკოვის ბოლოდროინდელ განცხადებებს, სასაზღვრო პრობლემებთან დაკავშირებით, შემრიგებლურს ვერ უწოდებ. მიხეილ სააკაშვილმა 25 სექტემბერს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის წინაშე შეშფოთება გამოხატა, დაგმო „რუსი ჯარების მიერ ქართული მიწების ანექსია“ და რუსული ჯარი დაადანაშაულა საზოგადოების მავთულხლართებით გახლეჩაში.

განხეთქილება ქართველებს შორის

მავთულხლართებმა გააღრმავა განხეთქილება საქართველოს მთავრობის შიგნით – სააკაშვილმა მეტოქე პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს ბრალი დასდო, რომ არ მოინახულა დაზარალებული ქართული სოფლები და მოსკოვთან დაშოშმინების პოლიტიკას ატარებს, მაგრამ ომი კარგად ახსოვთ ივანიშვილის ბანაკშიც.

რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, რომლის მოვალეობაცაა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების კურირება, აცხადებს: **„ჩანს, რუსეთი არ აპირებს საზღვრის შემოღობვაზე უარის თქმას. ქართველებმა ძალა უნდა მოვიკრიბოთ დაძაბულობის შესაძლო ესკალაციისთვის. ილუზია, რომ ვითარება გამოსწორდა, არ უნდა გვქონდეს. რუსეთისგან ამ მიმართულებით პოზიტიურ ნაბიჯებს არ უნდა ველოდეთ. ისე უნდა მოვემზადოთ, რომ ჩვენი მოქალაქენი დაცულები იყვნენ“.**

მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ღობეს ავლებენ სასაზღვრო ზოლის მახლობელ სოფელ აძვში.

„თბილისი რუსეთის ზეწოლისთვის ემზადება“

ამ სათაურით აქვეყნებს Eurasianet მოლი კორსოს სტატიას საქართველოს შესახებ. როგორც ავტორი აღნიშნავს, ქართველი მაღალჩინოსნები და პოლიტიკური ექსპერტები ფიქრობენ, რომ კრემლი მზადაა, გამოიყენოს ყველა ხრიკი, რათა აიძულოს საქართველო, უარი თქვას ევროკავშირში გაწევრიანების ამბიციებსა და ვლადიმერ პუტინის ევრაზიულ კავშირზე: **„ტრადიციულად, საქართველო ყველაზე პროდასავლური სახელმწიფო იყო სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის კოალიციამ პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა, საქართველოს პოზიცია რუსეთის მიმართ შერბილდა“.** სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ 28 ნოემბერს ლიტვაში, ვილნიუსის სამიტზე, სავარაუდოდ, საქართველო კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს ევროკავშირისკენ ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებით. შეთანხმება, რომელიც ასევე მზადდება უკრაინასა და მოლდოვასთვის, თანდათანობით შეამცირებს ბრიუსელთან მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს: **„ზოგი ქართველი ფიქრობს, რომ ეს პერსპექტივა მოსკოვს აღიზიანებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამით გაიზრდება ევროკავშირის გავლენა რეგიონზე, რომელსაც კრემლი დღემდე თავის „შემოგარენად“ მიიჩნევს, არამედ იმიტომაც, რომ ეს ეკონომიკურ დაბრკოლებას წარმოქმნის რუსეთსა და საქართველოს სამხრეთ მეზობელ სომხეთისთვის, ერთადერთი კავკასიური ქვეყნისთვის, რომელმაც ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება გადაწყვიტა“.**

Georgia: Tbilisi Bracing for Russian Pressure

October 15, 2013 - 1:10pm, by *Molly Corso* Georgia EurasiaNet's Weekly Digest EU Geopolitics Georgian Politics

Officials and political analysts in Tbilisi believe the Kremlin is ready to reach deep into its bag of tricks to try to coerce Georgia into ditching its European Union membership ambitions and embracing Russian President Vladimir Putin's Eurasian Union vision.

Georgia traditionally has been the most pro-Western state in the South Caucasus. But in the almost year since Prime Minister Bidzina Ivanishvili's Georgian Dream coalition gained control of parliament, Georgia's stance toward Russia has softened somewhat.

On November 28, during a summit in Vilnius, Lithuania, Georgia is expected to move closer to the European Union when it is expected to initial an Association Agreement, a major step toward potential EU membership. The agreement, which is also on the table for Ukraine and Moldova, will gradually reduce obstacles for closer economic ties with Brussels.

Georgian Prime Minister Bidzina Ivanishvili (right) claps Štefan Füle, a European Union official, on the back during a meeting in July 2013. Traditionally pro-Western, Georgia is scheduled to initial an Association Agreement with the EU this fall, though Russia has recently made some overtures with its Eurasian Union. (Photo: European Commission)

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს რუსეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის კომენტარს, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა არ განიხილავს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების საკითხს კრემლთან და არც რაიმე სახის კომპრომისს, რომელიც საქართველოს ევროინტეგრაციას უკავშირდება. მოლი კორსოს პოლიტოლოგ კორნელი კაკაჩიას კომენტარიც მოჰყავს, რომელიც ფიქრობს, რომ ქართველებისთვის დასავლეთთან ინტეგრაციაზე მნიშვნელოვანი ტერიტორიული მთლიანობაა: **„კაკაჩიაც და სხვა ექსპერტებიც ფიქრობენ, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ, რუსი სამხედროების მიერ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მავთულხლართების გაბმა სამხრეთ ოსეთთან „სახელმწიფო საზღვრის“ მონიშვნის მიზნით, მოსკოვის მიერ თბილისზე ზეწოლის კიდევ ერთი მცდელობაა“.**

სტატიის ავტორი ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის ყოფილი დირექტორის თორნიკე შარაშენიძის აზრსაც იხსენებს, რომ **„ღობეების აღმართვით ყველა ის შანსი მოისპო, რაც თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების დასამყარებლად არსებობდა“.**

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲯᲐᲜᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4			6				1	
					5		3	8
9							7	6
				9		8		2
				4				
7		5		1				
6	3							4
1	9		3					
	8				4			1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		5						7
		3	9	2		1		
			7				4	
3	2							4
	8	9				6	5	
5							3	1
	7				6			
		6		8	1	2		
8						4		

ᲠᲗᲣᲚᲘ

			5	3				
	6	2		7				
				2	9	8		
1						9	6	
	9	8	6		3	4	5	
	5	4						8
		9	7	8				
				5		2	8	
				6	1			

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲣᲚᲘ

	8	7		5	4			9
6				3		5		
			6				8	7
	2							6
8			7	4	5			1
7							9	
4	7				6			
		8		7				5
9			5	8		6	7	

მხატვარი ტილოს თვალებით ქმნის

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ადამიანის თვალი ხატვის ინსტრუმენტად? თურმე ეს შესაძლებელია — არგენტინელმა მხატვარმა-ავანგარდისტმა ლეანდრო გრანატომ ცოტა ხნის წინ მეტად უცნაური ტექნიკა გამოიგონა: ცხვირით შეისრუტავს აკვარელს, რათა შემდეგ ტილოზე თვალის ბუდით გადმოაფრქვიოს და ასე, 27 წლის მხატვარი, ერთ ნახატზე, თვალისთვის 800 მლ საღებავს იყენებს. ლეანდრომ თვალის ეს იშვიათი უნარი ჯერ კიდევ ბავშვობაში აღმოაჩინა, როცა მიხვდა, რომ მის ცხვირსა და თვალის ბუდეს შორის კავშირი არსებობს. სითხე თუ ცხვირში მოხვდებოდა, ლეანდრო მაშინვე თვალიდან ასხავდა. რაკიღა ჭაბუკი მხატვრობით იყო გატაცებული, მოულოდნელად, იდეა დაებადა — ეს იშვიათი უნარი ხატვისას გამოეყენებინა. როცა ახლობლებმა მთელი პროცესი ნახეს, დაასკვნეს, რომ ლეანდრო ჭკუიდან შეიშალა, მაგრამ ახალგაზრდამ ჯიუტად განაგრძო უჩვეულო მეთოდით მუშაობა, რათა ოჯახის წევრებისთვის დაემტკიცებინა, რომ შეძლებდა „თვალით შექმნილი“ ტილოს გაყიდვას.

ერთი ნახატის შექმნაზე ლეანდროს დაახლოებით ათი წუთი სჭირდება, ნამუშევარი კი რამდენიმე ათას დოლარად იყიდება. ხატვის ამ უჩვეულო სურვილმა ახალგაზრდა გრანატო აიძულა, საღებავის ახალი ფორმულა შეექმნა, რომელიც უფრო უვნებელი იქნებოდა თვალებისთვის. ამ პროცესმა რამდენიმე წელიწადს გასტანა, თუმცა ახლა, არგენტინელი მხატვარი ამტკიცებს, რომ ფერწერის ასეთი ტექნიკა უარყოფითად არ აისახება მის ჯანმრთელობაზე.

სიზმრებს რობოტი დაგიხატავთ

21-ე საუკუნეში რობოტები თითქმის ყველა სფეროში რომ არიან, გასაკვირი აღარავისთვისაა — მათ ჯერ საწარმოებში ჩაანაცვლეს ადამიანები, ახლა კი ძილის დროს გონებაში შეღწევასაც ცდილობენ, თუმცა მხოლოდ „კეთილი სურვილით“. ახალ მანქანებს ადამიანის სიზმრის ნახატად გადაქცევა შეუძლიათ და ისინი სასტუმროთა ქსელში Ibis Hotels, პარიზში, ბერლინსა და ლონდონში „მუშაობენ“. მანქანამ თქვენი ძილი რომ „დახატოს“, მხოლოდ სპეციალურ მატრასზე დაწოლაა საჭირო, რომელსაც 80 სენსორი აქვს — ისინი ძილის დროს წნევას, ხმას, მოძრაობასა და სხეულის ტემპერატურას აკონტროლებენ, მიღებულ ინფორმაციას კი მატრასი, უკაბელო კავშირის მეშვეობით, პარიზის სამხატვრო აკადემიაში გზავნის, სადაც ალგორითმი მონაცემებს აანალიზებს და ტილოზე გამოსახავს.

ყში პროდუქტი ახალგაზრდობის ეგინაპრჩენენ

ამაში დარწმუნებულია სიუზან რეინოლდსი — 29 წლის ქალი, რომელიც 16 წლის მოზარდივით გამოიყურება ჯანსაღი კვების წყალობით და როგორც ამბობს, მხოლოდ კაკალს, მზესუმზირას, პარკოსნებს, ხილსა და ბოსტნეულს მიირთმევს, ისიც თერმული დამუშავების გარეშე. რეინოლდსმა უნიკალური რეცეპტები შეიმუშავა, მათ შორისაა ცივი სუპი ისპანახისა და ლატუკისგან. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადრე სიუზანი ხშირად სტუმრობდა რესტორნებსა და ფასტფუდის დაწესებულებებს, 21 წლისა იოგამ გაიტაცა, რამაც მისი ცხოვრება სრულიად შეცვალა. ქალი დილის ხუთ საათზე იღვიძებს და ლიმნიან წყალს სვამს, მერე ვარჯიშობს, 10 საათზე კი ბოსტნეულის წვენს მიირთმევს. დღის განმავლობაში კი რაციონში შედის ხილი, კენკრა, მწარე შოკოლადი, კაკალი... ენერგიას სიუზანი ხილისგან იღებს, აუცილებელ ცხიმებს კი — კაკლისგან.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ
ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	1	9	5	4	8	7	3	2
2	3	7	6	9	1	8	5	4
5	4	8	2	7	3	1	9	6
4	2	1	3	8	9	6	7	5
3	9	6	4	5	7	2	1	8
8	7	5	1	6	2	9	4	3
1	8	4	7	3	6	5	2	9
7	6	3	9	2	5	4	8	1
9	5	2	8	1	4	3	6	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	5	1	8	4	7	6	2	9
7	8	6	5	9	2	1	4	3
9	4	2	3	6	1	8	7	5
4	1	3	2	8	9	5	6	7
6	7	5	4	1	3	2	9	8
2	9	8	7	5	6	4	3	1
1	6	4	9	7	8	3	5	2
5	3	7	1	2	4	9	8	6
8	2	9	6	3	5	7	1	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

5	7	8	4	3	2	1	6	9
6	4	3	1	9	8	5	2	7
2	1	9	7	6	5	8	4	3
3	9	7	2	8	6	4	1	5
4	5	2	3	1	9	7	8	6
1	8	6	5	4	7	3	9	2
9	6	4	8	7	3	2	5	1
8	3	5	6	2	1	9	7	4
7	2	1	9	5	4	6	3	8

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲣᲚᲘ

8	1	9	3	7	6	4	5	2
7	5	4	2	1	9	3	8	6
6	3	2	8	5	4	1	9	7
5	9	3	1	8	2	7	6	4
4	7	1	6	9	5	2	3	8
2	8	6	7	4	3	5	1	9
9	6	5	4	2	1	8	7	3
3	4	7	5	6	8	9	2	1
1	2	8	9	3	7	6	4	5

მე-13 გვერდი: 1. გარიყული; 2. გესტაპო; 3. გენაცვალე; 4. რეგრესი; 5. ყვავი; 6. ენციკლიკა; 7. ტამბოვი; 8. პუტინი; 9. ოცხელი; 10. ხიზილალა; 11. ანგინა; 12. ცამეტი; 13. კლოუნი; 14. უატი; 15. იონი; 16. ვისი; 17. ლიპომა; 18. ვაიო; 19. „ელი“; 20. ტიკი; 21. ალიბუხარი; 22. ოპიზა; 23. საგანი; 24. ინი; 25. ელამი; 26. ოფელია; 27. მასერუ; 28. ნაბობი; 29. ოლივიე; 30. ალა; 31. უშუ; 32. ფურისოდე; 33. ლემი; 34. სამბა; 35. ილტო; 36. ჩარი; 37. სალამურა; 38. იმედი; 39. აბრაამი; 40. აკადემია; 41. ტინი; 42. გერბი; 43. ვერხვი; 44. რვალი; 45. ვიადუკი; 46. ასა; 47. იგავი; 48. თოკი; 49. ონასისი; 50. მიურატი; 51. ვაი; 52. „ბადაგონი“; 53. ოთხი; 54. მუნი; 55. სედანი; 56. ორდალია; 57. რავიოლი; 58. ჰარარე; 59. არამისი; 60. „სათამაშო“; 61. ევა; 62. რეიდი; 63. ისანი; 64. თემურ; 65. ხაბარდა; 66. დილა; 67. პა; 68. დაბა; 69. ავი; 70. სკაპენი; 71. ტლუ; 72. აისი; 73. ბარდა; 74. აარე; 75. ასტამი; 76. ქორქია; 77. მაქს; 78. რიდე; 79. დემნა; 80. ლარი; 81. ბანანი; 82. მზია; 83. იდკუ; 84. ლინჩი.

შინდომა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

1. ყურის გარეთა ხვეულებიანი საფარი
2. სადღეგრძელოს საპასუხო სიტყვები
3. ბრგე და ღონიერი კაცი
4. მტევან-ფარ-ფლიანი თევზი
5. ღმერთების სასმელი ბერძნულ მითოლოგიაში
6. პრინცესა მულტფილმ „ალადინში“
7. კავალერიის ოფიცრის ჩინი ძვ. რუსეთში
8. კვერცხისმდებელი ძუძუმწოვარი ცხოველი
9. „იუვენტუსის“ განელი ლეგიონერი
10. დილის მგალობელი ფრინველი
11. უფულო, ჯიბეცარიელი კაცი
12. გავარვარებული ვულკანური მასა
13. რუსული ხალხური თქმულება
14. შავკანიანის და თეთრკანიანის შთამომავალი
15. ავსტრალიური ველური ძაღლი
16. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
17. ქსოვილის პატარა პარკი ფულის შესანახად
18. შალის ქსოვილის სახეობა
19. მძიმე პარაზიტული დაავადება
20. ცხენების ჯოგი
21. დაისის ანტონიმი
22. იგივეა, რაც ბულბული
23. ფრანგ. შამპანიური „... პერინიონი“
24. მდინარე ერევანში
25. ფიგურული სახაზავი
26. კედლის შანდალი
27. ხალიჩის სახელწოდება ძვ. ქართულში
28. „ყვითელი“ მდინარე ჩინეთში
29. ქართული ყოველკვირეული ჟურნალი
30. ექსტრემალური სპორტის სახეობა
31. ფულის საჭრელი საწარმო
32. გემის სვლის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო
33. გაფუჭებული ღვინო
34. ასტრონომიული კუთხე
35. ხისძირიანი ფეხსაცმელი
36. მორთულ-მოკაზმული კიმონო
37. მაღალი ხარისხის ყავა
38. ფარნავაზის მტერი
39. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი
40. ადამიანის სამეტყველო ორგანო
41. შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
42. თევზის ძვალი
43. საფირმო ნიშანი
44. მდინარე პარიზში
45. დაბალი ფასის მქონე
46. წიგნ-ბის საჯა-როდ დაწ-ვის აქტი
47. მსუბუქი თვლემა
48. ტანზე შემოჭერილი სპორტული სამოსი
49. ალადინის მაიმუნი
50. სააკაძის სოფელი
51. აღნიშვნა, ნიშნავს „მენიშნე კარგად“
52. ნორვეგიის პარლამენტი
53. ქალაქი, სადაც ზევსის ქანდაკება იდგა
54. ალპინისტის ფეხსაცმელი
55. ყურით აღქმული გგერა
56. საკონდიტრო ნაწარმი
57. ტბა იტალიაში
58. მომღერალი ... სტეფანი
59. ლიტერატ. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი
60. სახელმწიფო ...-დივუარი
61. მუსიკოსი ... ოსბორნი
62. საგანგებო დავალება
63. გაზაფხულის II თვე
64. აბესალომის მამა ოპერაში „აბესალომ და ეთერი“
65. უნგრული სადესერტო ღვინო
66. მდინარე რუსეთში
67. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
68. რაჭის „დედაქალაქი“
69. წყვილი ერთიანი კამათელზე
70. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი
71. ზრდილობიანი დასტური
72. „მახრჩობელა“ ხილი
73. უგემოვნოდ დადგმული წარმოდგენა
74. საგანთა ჩამონათვალი
75. მხარე იმერეთში
76. ყალთაბანდობა
77. ვერდის ოპერა „... კარლოსი“
78. მონღოლი დიდებული
79. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
80. ბალერინის ფეხსაცმელი
81. ბრიყვი, გაუზრდელი ადამიანი
82. გამოუწვავი აგური
83. ხრიკი, ფანდი
84. იმპერატორი, რომელმაც რომი გადაწვა

მანქანის ფერი პატრონის ხასიათზე მეტყველებს

ამერიკელი ფსიქოლოგების აზრით, ავტომობილის ფერის მიხედვით შესაძლოა ადამიანის ხასიათი ამოიცნოთ. სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ვერცხლისფერი მანქანის მფლობელი თავდაჯერებული, პრაგმატული და მოსაწყენი ადამიანია, რომელიც ხშირად გაურბის გულღია საუბარს. შავი და ნაცრისფერი ავტომობილებით საქმიანი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, პრინციპული და ძალაუფლების მოყვარულები გადაადგილდებიან. წითელი და ყვითელი ფერის მანქანების მფლობელები ოპტიმისტები, მიზანდასახული და ამბიციური ადამიანები გახლავთ, რომლებსაც ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვართ. მწვანე ავტოს ის ადამიანები ირჩევენ, ვინც ცხოვრებას რეალისტურად უყურებს, ლურჯ ფერს კი, ძირითადად, გაწონასწორებული ხალხი მიმართავს.

სპეციალისტების თქმით, თეთრი ფერის ავტომობილს მშვიდი, აკურატული და კონსერვატიული შეხედულებების მქონე ადამიანი ყიდულობს, ყავისფერ მანქანას დიდი და ძლიერი ოჯახის მქონენი ირჩევენ, რომლებიც პატივს სცემენ ტრადიციებს და ერთგული მეგობრებიც არიან. ვარდისფერი ავტომობილის მძღოლი უფრო მგრძნობიარეა, ხშირად ილიმის და მუდმივად ზრუნავს საკუთარ გარეგნობასა და ჯანმრთელობაზე. იასამნისფერ მანქანას შემოქმედი და ამოუცნობი ბუნების ადამიანი ირჩევს, რომელსაც ძლიერი ნებისყოფა აქვს და დასახულ მიზანსაც ყოველთვის აღწევს.

ᲕᲝᲠᲝᲡᲙᲝᲕᲘ
21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲠᲘᲛᲘ — ᲪᲕᲠᲛᲔᲑᲘ ᲜᲣ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ, ᲐᲓᲠᲔ ᲗᲣ ᲒᲕᲘᲐᲜ, ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲓᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲜᲣ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲗ ᲡᲐᲡᲝᲬᲐᲠᲒᲕᲔᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲥᲕᲔᲗᲓᲔᲡ.

ᲙᲣᲠᲝ — ᲓᲐᲓᲒᲐ ᲓᲠᲝ, ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲝᲓᲝᲜᲓ ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲠ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲗ — ᲔᲜᲓᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲘᲜᲢᲣᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲚᲐᲕᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ.

ᲢᲧᲣᲙᲔᲑᲘ — ᲞᲘᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲔᲚᲘᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲚᲝᲜᲓᲔᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ᲐᲮᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘᲐ — ᲐᲡᲔ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲘᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲚᲝᲛᲘ — ᲐᲠᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲬᲕᲠᲘᲚᲨᲘᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲚᲐᲓ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲓᲘᲓ ᲣᲡᲐᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲖᲠᲓᲝᲗ. ᲐᲠᲪ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘᲗᲝᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲙᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲢᲠᲔᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲐᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲝᲕᲓᲔᲗ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲓᲦᲔ ᲛᲘᲓᲘᲑᲔᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲗᲘᲥᲠᲔᲗ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲖᲔ. ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲜᲪ ᲒᲘᲓᲘᲛᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡᲛᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ.

ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ — ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲘᲜᲢᲘᲚᲔᲥᲢᲘᲗ ᲒᲐᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲒᲘᲬᲧᲔᲗ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲯᲐᲛᲗᲐᲛᲐᲓᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲒᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲣᲓᲐᲯᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲬᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ. ᲗᲣ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲐᲮᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲗ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲒᲠᲩᲔᲑᲐᲗ.

ᲚᲝᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ — ᲒᲐᲠᲘᲡᲙᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲘᲡ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲓᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲐᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲩᲥᲐᲠᲔᲗ ᲛᲝᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ.

ᲛᲬᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲐᲜᲘ — ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲒᲔᲚᲘᲗ — ᲛᲮᲘᲠᲓᲐᲠᲗ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲬᲕᲐᲕᲔᲓ ᲐᲦᲘᲥᲕᲐᲛᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲛᲘᲒᲐᲥᲕᲗ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘᲐ, ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲓᲦᲐᲘᲠᲘᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲐᲪᲐᲠᲝᲗ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲣᲛᲫᲘᲠᲐᲕᲘ ᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲥᲕᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲓᲘᲠᲩ ᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲕᲘᲠᲗᲕᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲒᲖᲔᲚᲔᲛᲐᲗ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐᲗ.

ᲛᲔᲠᲜᲬᲧᲚᲘᲡ — ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲐᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ — ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲗ ᲨᲘᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ, ᲨᲔᲐᲯᲐᲛᲔᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ, ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲗ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲗ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ. ᲓᲠᲝᲐ, ᲣᲛᲯᲝᲠ ᲞᲠᲐᲒᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐᲗ.

ᲗᲕᲔᲖᲔᲑᲘ — ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ ᲪᲮᲘᲠᲘᲡ ᲩᲐᲣᲠᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲯᲘᲛᲕᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲘᲓᲔᲑᲘᲗ.



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲑᲚᲝᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ

ᲛᲐᲓᲝᲜᲐᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ

ტეხასში მდებარე კინოთეატრების ქსელმა შესვლა აუკრძალა ყველაზე ანაზღაურებად ვარსკვლავს, პოპის დედოფალს მადონას. მომღერალი ნიუ იორკის ფესტივალზე ფილმის — „მონობის 12 წელი“ ჩვენებას ესწრებოდა და სეანსის დროს მესიჯობდა. გვერდით მჯდომმა მაყურებელმა ვარსკვლავს ტელეფონის შენახვა სთხოვა, რაზეც მადონამ უხეშად უპასუხა. არადა, იმ კინოთეატრების ქსელის განაწესის მიხედვით, სეანსის დროს ტელეფონით სარგებლობა კატეგორიულად აკრძალულია. ქსელის გენერალურმა დირექტორმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ ვიდრე მადონა ბოდიშს არ მოიხდის, მისთვის დახურული იქნება მათი კინოთეატრები, მაგრამ ამ კომენტარს ვარსკვლავი ჯერ არ გამოხმაურებია.

ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝ ᲡᲘᲛᲡᲘᲕᲜᲔᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ

სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა გამოკვლევები ჩაატარეს და ჩინური კომბოსტოს უნიკალურ შემადგენლობაზე გაამახვილეს ყურადღება. ექსპერიმენტისას კომბოსტოს 25 სახეობის ტესტირების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩინურ კომბოსტოში 14 ტიპის ანტიკანცეროგენული ნივთიერებაა, მათ შორის გლუცოსინოლატეს — რთული ორგანული ნაერთი, რომელიც ზემოქმედებს კიბოს უჯრედებზე და სიმსივნურ წარმონაქმნს ანადგურებს. ერთი გრამი ჩინური კომბოსტო 2,3 მილიგრამ ამ სასწაულმოქმედ ნაერთს შეიცავს.

ᲕᲝᲠᲝᲡᲙᲝᲕᲘ
22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲠᲘᲛᲘ — ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲔᲪᲓᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲚᲐᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲐᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲐᲠᲘᲓᲔᲑᲗ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲡ.

ᲙᲣᲠᲝ — ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲯᲐᲠᲒᲕᲘᲜᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲒᲘᲯᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲝᲕᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲚᲐᲓ ᲛᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲡ ᲨᲔᲝᲠᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲛᲘᲣᲩᲠᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲡᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲙᲒᲐᲚᲝᲓ ᲒᲐᲥᲠᲔᲑᲐ.

ᲓᲣᲚᲔᲑᲘ — ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲒᲐᲒᲮᲓᲘᲗ, ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲣᲒᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲣᲗᲘ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲨᲔᲒᲫᲚᲘᲗ ᲛᲝᲣᲩᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲡᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲙᲒᲐᲚᲝᲓ ᲒᲐᲥᲠᲔᲑᲐ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲣᲛᲖᲐᲓᲝᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲓᲔᲑᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ, ᲛᲝᲒᲘᲡᲬᲘᲠᲕᲘ ᲣᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲧᲝᲗ ᲐᲠᲘᲓᲔᲑᲗ — ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲓᲠᲝ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐ.

ᲚᲝᲛᲘ — ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲓᲔᲐ ᲒᲐᲒᲘᲩᲜᲓᲔᲑᲐᲗ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲐᲠᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲫᲐᲠᲛᲛᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲒᲐᲮᲐᲠᲝᲗ — ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲒᲦᲚᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗ ᲛᲝᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ. ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲥᲚᲐᲥᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲛᲪᲮᲐᲠᲔᲑᲐ — ᲐᲡᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲗ.

ᲗᲕᲔᲖᲔᲑᲘ — ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲘᲣᲐᲕᲘᲗ — ᲛᲝᲜᲓᲒᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡᲕᲔ ᲐᲦᲓᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝ. ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲘᲙᲐᲕᲔᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ.

ᲛᲔᲠᲜᲬᲧᲚᲘᲡ — ᲧᲕᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘᲐ, ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲠᲘᲓᲝᲗ. ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲥᲚᲐᲥᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲛᲪᲮᲐᲠᲔᲑᲐ — ᲐᲡᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲗ.

ᲗᲕᲔᲖᲔᲑᲘ — ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲘᲣᲐᲕᲘᲗ — ᲛᲝᲜᲓᲒᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡᲕᲔ ᲐᲦᲓᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝ. ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲘᲙᲐᲕᲔᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ.

სუდოკუ

ადვილი

	9		4			7		5
7			8					
6		4		9		2		
	4							
1			7	4	6			2
							9	
		1		7		3		9
					2			1
4		5			3		8	

სტანდარტი

6		3		8			2	
2	1							
	7				9			
7	6			4				8
1			9		6			2
5				2			3	6
			3				7	
							8	3
	2			5		4		9

რთული

5	4							
						4	3	2
		2	9	8		6	5	
4			1				6	
6		5				1		9
	1				9			4
	9	4		1	7	3		
2	6	7						
							4	8

ექსპერტი

		4			2			
3				8	7		4	2
2				6	4		5	
7	9							
1				9				7
							8	6
	5		3	2				9
9	3		4	7				1
			6			3		

რაში უხდიან ფულს სწავლულებს?

აშშ-ს საგადასახადო ინსპექციამ სამეცნიერო გამოკვლევებში დახარჯული თანხების მოკვლევა დაიწყო. გამოძიების დასრულებისა და შედეგების გაცნობის შემდეგ საგადასახადოს თანამშრომლები ერთხანს დუმდნენ, მერე კი სიცილი აუტყდათ, რადგან აღმოჩნდა, რომ მეცნიერებისთვის რამდენიმე მილიონი დოლარი ისეთი გამოკვლევების ჩასატარებლად გადაუხდიათ, რომელთა შედეგები, მხოლოდ ცნობისმოყვარე ბავშვს თუ დააინტერესებდა:

1. 1975 წელს აშშ-ს ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა 84 ათასი დოლარი დახარჯა იმის დასადგენად, საიდან ჩნდება ადამიანში სიყვარულის გრძნობა.

2. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 46 ათასი დოლარი გამოყო იმის გასაგებად, რა დროა საჭირო საუზმის მოსამზადებლად.

3. ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტმა 107 ათასი დოლარი დახარჯა იაპონური მწყერის ლაბორატორიულ პირობებში სექსუალური ქცევების გამოკვლევაზე.

4. ფსიქიკური ჯანმრთელობის ნაციონალურმა ინსტიტუტმა საკმაოდ სოლიდური თანხა გამოყო ინფორმაციის მოსაპოვებლად თემაზე: რატომ იღიმიან ბოულინგის მოთამაშეები და ჰოკეის გულშემატკივრები.

5. 1977 წელს აშშ-ს ჰუმანიზმის ეროვნულმა ფონდმა 25 ათასი დოლარი გაიმეტა იმის დასადგენად, რატომ იტყუებიან და უხეშობენ მოთამაშეები ვირჯინიის შტატის ჩოგბურთის კორტებზე.

6. ამერიკის ფედერაციულმა საავიაციო ადმინისტრაციამ სტიუარდესას სხეულის პარამეტრების დასადგენად, გამოკვლევებში 57 ათასი დოლარი დახარჯა.

7. ამერიკის ალკოჰოლიზმის კვლევის ნაციონალურმა ინსტიტუტმა მილიონობით დოლარი გამოყო იმის გამოსაკვლევად, ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ თევზებს აგრესიულები არიან თუ არა.

8. წესრიგის დაცვის სამსახურმა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხის საპოვნელად მეცნიერებს 27 ათასი დოლარი გამოუყო. კითხვა კი ასეთი იყო: რატომ უჩნდებათ პატიმრებს ციხიდან გაქცევის სურვილი?

ტკბილეული დაღლას იწვევს

ამერიკელმა სწავლულებმა, სერიოზული კვლევების შედეგად დაასკვნეს, რომ ზოგიერთი პოპულარული პროდუქტი ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის შრომისუნარიანობაზე და დაღლილობას იწვევს. მკვლევარებმა პირველი ადგილი სპირტიან სასმელს მიანიჭეს, შემდეგ მოდის ტკბილეული, რომელიც სისხლში გლუკოზის დონეს ცვლის და დამღლელ ზემოქმედებას ახდენს, მესამე ადგილზე აღმოჩნდა ინდაურის ხორცი. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მასში შემავალი ცილები შრომისუარიანობას აქვეითებს. დამღლელი პროდუქტის სიაშია ასევე მაკარონი და შემწვარი საკვები — ორგანიზმი მის გადამუშავებაზე ბევრ დროს ხარჯავს, რაც საჭმლის მომნელებელ სისტემაზე გამაღიზიანებლად მოქმედებს.

მადრიდელ მათხოვრებს ჯარიმას ადაანხდევინებენ

ესპანეთის დედაქალაქის ხელისუფლებას განზრახული აქვს, მოსახლეობისთვის ახალი ჯარიმა აამოქმედოს, რომლის თანხაც 750 ევროს შეადგენს და რომელიც ტაროს ბანქოზე მკითხავებისთვის იქნება განკუთვნილი, ასევე სავაჭრო ცენტრებთან მდგომი მათხოვრებისა და მათთვის, ვინც ძაღლებს ქუჩაში აჭმევს. ჩინოვნიკები ვარაუდობენ, რომ ჯარიმა ქალაქის ბიუჯეტისთვის არა მხოლოდ დამატებითი შემოსავალი იქნება, არამედ მადრიდის ქუჩებიც გაიწმინდება. მთავრობის ინიციატივა ძალაში წლის ბოლომდე უნდა შევიდეს და მას უკვე უწოდეს „ყველაზე მკაცრი“ 1948 წლის შემდეგ. მაშინ გენერალ ფრანკოს მთავრობის კანონები ადამიანს პასუხისმგებლობას აკისრებდა ლამის ნებისმიერი აქტიურობის გამოვლენაზე, მადრიდელები კი ამბობენ, რომ ახალი კანონპროექტიც არანაკლებია. ჯარიმა ეკისრება პროსტიტუციაში შემჩნეულ ადამიანსაც და საზოგადოებრივ ადგილზე ხალიჩის მბერტყავსაც. მეძავის მომსახურებაში ერთხელ შემჩნეულ მამაკაცს მეორედ თუ „გამოიჭერენ“, მას 750 ევროს გადახდა მოუწევს, თავად მეძავი კი ჯარიმისგან თავისუფალია. 3 ათასი ევროს ოდენობით ჯარიმა კი სუტენიორობასა და მათხოვრობაში არასრულწლოვანთა ჩაბმისთვისაა გათვალისწინებული. საშიშ დანაშაულთა კატეგორიაში გადის აივანზე დადგმული ყვავილის ქოთანი და ქუჩაში ვაჭრობა, ტურისტებისთვის ფულის გამოძალვა და მუნიციპალურ წყალსატევებზე ქაღალდის გემების გაშვება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).